პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 199 (15109)

31 აგვისტო სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

## 250.000 ტონა ჩაისათვის!



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის კომკავშირელი მექანიზატორი თამარ ჯინჭარაძე, რომელმაც ჩაის საკრეფი მანქანით მოკრიფა 30 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა და გ. გერსამიასი. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# პატივი ვცეთ კანონს

ПРАВДА

29 აგვისტოს მოწინავე

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კანონები ნაკარნახევია ხალხის ინტერესებით. ისინი საიმედოდ იცავენ საბჭოთა საზოგადოებრივ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლეს, უფლებებსა და ღირსებას, ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს.

საბჭოების ქვეყნის მშრომელები დიდი პატივისცემითა და ხიამაყით იხსენიებენ ჩვენს კანონებს. სახელმწიფოს სამართლებრივ აქტებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის ნება, კომუნისტური პარტიის პოლიტიკა. ეს საზოგადოების ნორმალური ცხოვრების საფუძველია. ჩვენი კანონები უზრუნველყოფენ რაც შეიძლება ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს და ამავე დროს აკისრებენ მოქალაქეებს ზუსტად განსაზღვრულ მოვალეობებს.

ყველა საბჭოთა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა მტკიცედ დაიცვან თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოს კანონები. ეს არაერთხელ აღუნიშნავს ვ. ი. ლენინს. მიმართავდა რა მუშებსა და გლეხებს, იგი მოუწოდებდა მათ: „წმიდად დაიცავით საბჭოთა ხელისუფლების კანონები და მითითებანი და თვალყური ადევნეთ, რომ ისინი ყველამ შეასრულოს". იცავენ რა ლენინის ანდერძს, ჩვენი პარტია და სახელმწიფო ყოველი ღონისძიებით ზრუნავენ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ქვეყნის კანონების პატივისცემის, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესების დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდისათვის.

ამ საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ. „სამართლის, კანონის პატივისცემა, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ყრილობისადმი, — თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. ვერ შევურიგდებით კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდნენ მათ. ვერ შევურიგდებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქეთა ღირსების შელახვას. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ყველაზე ჰუმანური იდეალების მომხრეებისათვის, ეს პრინციპის საქმეა".

კანონების ნებაყოფლობითი, შეგნებული აღსრულება მილიონობით საბჭოთა ადამიანის ცხოვრებისეული ნორმა, მოქალაქეობრივი მოვალეობა გახდა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამართლებრივი აქტების შემუშავებაში, თვითონვე ადევნებენ თვალს მათს აღსრულებას. მშრომელთა სულიერი სიმწიფის, მართლშეგნების ზრდა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, დისციპლინის, წესრიგის განმტკიცებაზე.

მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან შრომასა და საზოგადოებრივ საკუთრებას, უხეშად არღვევენ სოციალისტური სამართლის ნორმებს. საზოგადოება ვერ შეურიგდება ამას. ასეთი საქციელის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის, მაღალი მორალური თვისებების ფორმირებისათვის დარაზმულია საზოგადოებრიობის ძალები, ამას ხმარდება მთელი მრავალფეროვანი აღმზრდელობითი ღონისძიებანი. კვლავ სერიოზული ამოცანაა ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ. ახლა სულ უფრო მეტად ვლინდება ზრუნვა დარღვევათა პროფილაქტიკისათვის, თავიდან აცილებისათვის. ამას მოაქვს თავისი ნაყოფი. ხოლო თუ აღმზრდელობითი გავლენა საკმარისი არ არის? მაშინ იმისათვის, რომ უზრუნველყოს მართლწესრიგი, დაიცვას საზოგადოება დანაშაულებრივი მოქმედებისაგან, სახელმწიფო იყენებს აგრეთვე იძულების, დასჯის ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და კანონის ფარგლებში.

სახელმწიფოებრივი წესრიგის, კანონებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაში დიდი როლი ეკუთვნის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. საჭიროა კვლავაც სრულვყოთ საბჭოების, მილიციის ორგანოების მუშაობის ფორმები და მეთოდები, ავამაღლოთ ეფექტიანობა საპროკურორო ზედამხედველობისა კანონების დაცვისადმი, გავაუმჯობესოთ სასამართლოების, იუსტიციის ორგანოების საქმიანობა. ჩვენი სამართლებრივი აქტების ძალა საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ ისეთი მოვლენების წინააღმდეგ როგორიც არის მომხვეჭელობა, მექრთამეობა, მუქთახორობა, ხულიგნობა, ლოთობა, აგრეთვე წუნის მკეთებელთა, დისციპლინის დამრღვევთა, საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

კანონიერების განმტკიცება მარტოოდენ სახელმწიფო აპარატის საზრუნავი როდია. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ აღნიშნა, პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები, კომკავშირი მოვალენი არიან ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ კანონების უმკაცრესი დაცვა, გააუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თვითეულ კოლექტივში შეიქმნას კანონისაგან უმცირესი გადახვევისადმი, ცალკეულ მოქალაქეთა ულირსი საქციელის ფაქტებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება.

საჭიროა, რომ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, თვითეული თანამდებობის პირის საქმიანობა ემყარებოდეს სოციალისტური კანონის მოთხოვნებს. ეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ურყევი პრინციპია. კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოთ სამართლებრივი მუშაობა სახალხო მეურნეობაში, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სამართლებრივი საშუალებანი წარმოების განვითარებაზე ზემოქმედებისათვის, სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, საწარმოო დავალებებისა და ხელშეკრულებების შესრულებისათვის.

ზოგჯერ თანამდებობის პირები იძლევიან განკარგულებებს, წერენ დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს ისე, რომ მათ არ უთანხმებენ სამართლებრივ ნორმებს, ამასთან იმიზეზებენ „საქმის ინტერესებს". განა ცხადი არ არის, რომ ყველა მუშაკი, მიუხედავად თანამდებობისა და რანგისა, მოწოდებულია ზუსტად იცავდეს კანონის სულისკვეთებას, ვინაიდან კანონი ჩვენი საერთო საქმის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს. სამართლებრივი ნორმების, თავიანთ მოვალეობათა უნაკლოდ შესრულება მილიციის, პროკურატურის, სასამართლოს მუშაკთა უპირველესი მოვალეობაა, ვინაიდან ეს ყოველთვის უშუალოდ შეეხება ადამიანთა ბედს, სახელმწიფოს ინტერესებს.

მართლწესრიგი ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი კადრების, ყველა მოქალაქის იურიდიულ კულტურაზე. უკანასკნელ დროს შესამჩნევად გაძლიერდა ყურადღება მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისადმი. საინტერესო გამოცდილებაა შეძენილი მოსკოვის, ნიკოლაევის, დონეცკის ოლქებში. აქ მუშაობენ სამართლებრივი ცოდნის უნივერსიტეტები და სკოლები, საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციები, იურისტები კითხულობენ ლექციებს სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის.

და მაინც სამართლებრივი აღზრდის დონე ზოგიერთ ოლქში ჯერ კიდევ არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. იგი ხშირად არ ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებსა და კოლექტივებში არსებულ მდგომარეობას. არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებით უნდა იცნობდნენ სამართლის ნორმებს.

სოციალისტური სახელმწიფოს კანონებისადმი პატივისცემის აღზრდა, მართლწესრიგის ყოველმხრივ განმტკიცება მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩილეში გაემგზავრა

29 აგვისტოს მოსკოვიდან სანტიაგოში, ჩილეს რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის მიწვევით, ოფიციალური მეგობრობის ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

დელეგაციას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო. (საქინფორმი).

# ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში!

## ერთი უბნის ადამიანები

ვახტანგ ბიწაძე ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს რიგითი მუშა იყო. სწავლის წყურვილი არ ასვენებდა. წარმატებით დაამთავრა ქუთაისის სამთო ტექნიკუმი და საწარმოო ცვლის უფროსად დააწინაურეს. საქმის სიყვარული, უნარი და მონდომება გამოიჩინა. აგერ უკვე ხუთი წელია მეექვსე საწარმოო უბანს თავკაცობს.

უბნის კოლექტივი, რომელსაც ვ. ბიწაძე უძღვება, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას და წლიური გეგმის ორი კვირით ადრე შესრულება იკისრა. უბნის მაღაროელები პირველნი ჩაებნენ აგრეთვე ხუთი დღის გეგმის ოთხ დღეში შესრულებისათვის ლაშქრობაში. მათი სიტყვა მტკიცეა. მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის შვიდი თვის დავალების გადამეტებით უბნის კოლექტივმა სამშობლოს მისცა 1.296 ტონა მაღალხარისხოვანი მადანი, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 19 პროცენტით, თვითღირებულების შემცირებით დაზოგა 28.227 მანეთი.

ამ წარმატებაში წვლილი შეიტანეს საწარმოო ცვლების კოლექტივებმა, რომლებსაც ს. მოდებაძე, გ. ჭანტურიძე და მ. ჯიქურიძე ხელმძღვანელობენ. ახლა იმ ცალკეულ მაღაროელთა მაჩვენებლებს გადავხედოთ, რომლებმაც ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულება იკისრეს. კომუნისტური შრომის დამკვრელებმა შ. მაჭარაშვილმა, უ. გურჯიძემ, ტ. მოდებაძემ, შ. ჩაჩანიძემ, ზ. წერეთელმა, აკ. ლომთაძემ და სხვებმა შვიდი თვის დავალებები 135—160 პროცენტით შეასრულეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ მაღაროელები ხუთი დღის გეგმას ოთხ დღეში საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ. მათი პირობაა წლიური დავალებები ოქტომბერში გაანაღდონ. მეექვსე უბნის კოლექტივს არც ერთი ჩამორჩენილი და შრომის დისციპლინის დამრღვევი მუშა არა ჰყავს. იგი ყოველთვის მაღალხარისხოვან მადანს იძლევა. ასეთი მაჩვენებლები თავისთავად როდი მოდის. ეს უბნის კოლექტივის, მისი თავკაცების გონივრული, მოფიქრებული და მამაცური შრომის ნაყოფია.

— ჩვენ განსაკუთრებით ვზრუნავთ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, წარმოებაში მეცნიერული მეთოდების დანერგვის, სამუშაო დროის სრულად გამოყენების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მადნის თვითღირებულების შემცირებისათვის, — თქვა უბნის კოლექტივის თავკაცმა ვ. ბიწაძემ.

მაღაროელები უმაღლიან სამუშაოთა მომზადების ცვლას, რომელსაც ს. მოდებაძე ხელმძღვანელობს. ცვლის კოლექტივის წევრები ხარისხიანად ბურღავენ და აფეთქებენ მადნის სანგრევებს, ამაგრებენ ჭერს, გაჰყავთ რკინიგზა... უბნის კოლექტივის ყოველი წევრი დაინტერესებულია შრომის დისციპლინის განმტკიცებით, მადნის მაღალი ხარისხით, მომჭირნეობით.

უბნის კოლექტივი ერთსულოვანია. აქ ვერ ითმენენ ზარმაცს, უდისციპლინოს, წუნისმკეთებელს, უჯაიროთოს. მარგანეცის მნგრეველ-ამწმენდი ზ. ლილუაშვილი წინა წლებში სამუშაოს აცდენდა, ზარმაცობდა, უხეირო მუშაობით კოლექტივს არცხვენდა. ზ. ლილუაშვილის გამოსწორება უბნის კოლექტივმა ითავა. არა მარტო დაგმეს მისი საქციელი, არამედ დაეხმარნენ, დაარწმუნეს თავის ძალასა და შესაძლებლობაში. ზ. ლილუაშვილი თითქოს გამოიცვალა. ახლა იგი სამაგალითო მუშაა.

მეექვსე საწარმოო უბანში ერთი კარგი ტრადიციაც დამკვიდრდა — უბნის თითქმის ყველა წევრი თავისუფალ დროს საკოლმეურნეო მინდვრებსა და ზვრებში შრომობს. უბნის კოლექტივმა ერთსულოვნად იმუშავა შაბათობებზე სოფლებში პერევისაში, სვერსა და თვალუეთში.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## თავდადებული შრომით

● ბათუმი. (საკ. კორ.). წელს ბათუმის ქარხანა ელექტროხელსაწყომ რამდენიმე სახეობის ახალი პროდუქციის გამოშვება აითვისა, მათ შორის აღსანიშნავია 10 კილოვატი სიმძლავრის მშრალი ტრანსფორმატორები და ძალოვანი ტრანსფორმატორები. ძირითადი პროდუქციის პარალელურად საწარმო ფართო მოხმარების საქონელსაც უშვებს. ამ მხრივაც არის სიახლე, მესამე კვარტალის ბოლოს მასობრივად გამოვა სამი სხვადასხვა სახეობის დეკორაციული ნათურები.

● ქუთაისი (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ნ. კვიცარიძე) 105,9 პროცენტით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა, ამასთან 475 ათასი მანეთით გადაამეტა პროდუქციის რეალიზაციის დავალებას. გეგმის ზევით გამოშვებულია 8 ცალი ელექტროძრავი, ელექტროცენტრიდანული ტუმბოს 2 ცალი ელექტროძრავი, 6.200 ცალი საშახტო ელექტროლამპარი და ტუმბოების 14.800 მანეთის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები.

ხუთწლედის პირველი წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან ელექტრომანქანებისა და საშახტო ელექტროლამპრების საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ო. გაბუნია და ტ. მხეიძე ხელმძღვანელობენ.



სურათზე: ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ემინე ზაქარიაძე (მარჯვნივ) და ბრიგადირი რ. ოტიაშვილი საუბრობენ ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობაზე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# აჭარელ მეჩაიეთა ჟ ა ტ ა კ ი

## გეგმის გადამეტებით აჭარაში მოიკრიფება 2.000 ტონა ჩაის ფოთოლი

**საუბარი საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ალ. თხილაიშვილთან**

პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას. ამის შედეგად პირველი შესანიშნავი წარმატებები უკვე მოიპოვეს აჭარის სახელოვანმა მეჩაიეებმა, — განაცხადა გაზეთ „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ალ. თხილაიშვილმა. ვადაზე ერთი თვით ადრე, 30 აგვისტოსათვის მეჩაიეებმა მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 37.617 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 37.140 ტონისა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 365 ტონით მეტი ჩაის ნედლეული მოიკრიფა.

ეს წარმატებანი განაპირობა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უნარიანმა ბრძოლამ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ახლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციები უფრო კონკრეტულად წყვეტენ სადღეისო საკითხებს, რაზმავენ კომუნისტებსა და მშრომელ მასებს ხუთწლედში დასახული დიადი ამოცანების შესრულებისათვის.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა აჭარაში ყველაზე ადრე შეასრულა ხელვაჩაურის რაიონმა, რომელსაც დღემდე მოკრეფილი აქვს 11.254 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. ეს წლიური გეგმის 104 პროცენტს შეადგენს. წლიური გეგმის შესრულებაში გადამწყვეტი სიტყვა თქვეს ქობულეთის რაიონის მეჩაიეებმა, რომლებმაც სამშობლოს მისცეს 25.740 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. გეგმა კი 25.726 ტონას ითვალისწინებდა. შრომითი მამაცობით თავი ისახელეს ამ რაიონის ხუცუბნის, ჩაისუბნის, აჭის, ზენითის, ჭახათის, ბობოყვათის, წყავროკას, ციხისძირის, ზედა და ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობებმა, ჩაქვის, ოჩხამურის, ცეცხლაურის, სალიბაურის, თხილნარის ციტრუსების, მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობებმა.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. კომუნისტები გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ და ავიჩვენებენ ავანგარდულ როლს, საქმით ახორციელებენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ამის ნათელი მაგალითად გამოდგება სოფელ წყავროკას კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია. ეს კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო. პარტორგანიზაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ კონკრეტული ღონისძიებები განახორციელეს და წარმატებას მიაღწიეს. წელს წყავროკელებმა მოკრიფეს 625 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 600 ტონისა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 6.300 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

პლანტაციების მოვლა-დამუშავების გაუმჯობესების, სასუქების გონივრულად გამოყენების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით აჭარაში გაიზარდა ჩაის ნედლეულის საშუალო მოსავლიანობა. ქობულეთის რაიონში საშუალოდ ჰექტარზე უკვე მიღებულია 5.600 კილოგრამი, ხელვაჩაურის რაიონში — 4.900 კილოგრამი, ხოლო მთლიანად აჭარაში — 5.260 კილოგრამი. სახელოვან მეჩაიეებს მხარს უმშვენებენ ჩაის საკრეფი მანქანების მექანიზატორები, რომლებმაც უკვე მოკრიფეს 1.360 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობენ ჩაის საკრეფი მანქანები ოჩხამურის, ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობებში, ხუცუბნის, ქაქუთის, ციხისძირის და სხვა კოლმეურნეობებში.

ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ცალკეულმა ბრიგადებმა, რგოლებმა, მეჩაიეებმა. მათ გადაჭარბებით გაანაღდეს ვალდებულებანი და ახლა ჩაის კრეფას კვლავ განაგრძობენ.

ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის კოლმეურნეობის მეჩაიემ, ლენინის ორდენოსანმა მერიემ თურმანიძემ 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 9.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო", ხოლო ქაქუთელმა (ქობულეთის რაიონი) სოციალისტური შრომის გმირმა ემინე ზაქარიაძემ რეკორდი დაამყარა — მოკრიფა 12 ტონა ჩაის ფოთოლი.

ჩაის პლანტაციები ხარობს მთიან ზონაშიც. თანდათანობით ფართოვდება ჩაის ჰექტარები ქედის რაიონში, რომელმაც წლიური გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა. ამ რაიონის სოფელ კვაშტის კოლმეურნეობაში არსებული პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 5.250 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

მეჩაიეთა ამ დიდ წარმატებებში სერიოზული წვლილი შეიტანეს აჭარის ახალგაზრდობამ, კომკავშირელებმა, რომლებიც ემზადებიან საქართველოს კომკავშირის სახელოვანი 50 წლისთავის იუბილესათვის. მათს ანგარიშზე მოდის მთელი მოკრეფილი ჩაის ნედლეულის 60-70 პროცენტი. სასახელოდ იშრომეს ჩაის მრეწველობის მუშაკებმა. აჭარის ჩაის ფაბრიკებმა თავი გაართვეს სიძნელეებს და შეუფერხებლად მიიღეს და გადაამუშავეს მთელი მოკრეფილი ნედლეული, დაიცვეს ტექნოლოგიური პროცესები და გამოუშვეს მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის პროდუქცია.

აჭარელმა მეჩაიეებმა აწონ-დაწონეს არსებული შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცენ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ა. ნ. კოსიგინს

ნება მიბოძეთ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, გულითადი მადლობა გიძღვნათ ჩემი და თანმხლები პირების სახელით იმ გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირში გაგვიწიეს ამასწინანდელი მოგზაურობის დროს.

ძალზე კმაყოფილი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ადგილზევე, კოსტომუქშის რკინის მადნის საბადოს რაიონში პირადად გავცნობოდი იმ დიდი პროექტის განხორციელების წანამძღვრებს, რომლის თაობაზე საუბარი გვქონდა მოსკოვში მიმდინარე წლის აპრილში. ამ მოგზაურობის დროს კიდევ უფრო მკაფიო წარმოდგენა შემექმნა პროექტის შესაძლებლობათა შესახებ.

პროექტის წარმატებით განხორციელება უთუოდ შეუწყობს ხელს ფინეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას და კიდევ უფრო მრავალმხრივი გახდება ფინეთისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობა.

გთხოვთ აგრეთვე მადლობა გადასცეთ ყველას, ვინც მიმასპინძლა კარელიის ასს რესპუბლიკასა და ლენინგრადში.

გულწრფელი პატივისცემით

ა. კარიალაინენი,
ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.
ჰელსინკი.

# დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა

29 აგვისტოს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. კიკნაძემ დარბაზობა გაუმართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საბჭოთა კავშირში ბოგუსლავ ხნოუპეკს, რომელიც თბილისში იმყოფება.

ელჩთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოლკოვნიკი იოსებ ლასკა, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს მესამე მდივანი იან გაველი.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრები, რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

შ. კიკნაძემ და ბ. ხნოუპეკმა წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საბჭოთა კავშირში ბოგუსლავ ხნოუპეკმა საქართველოში ყოფნის გამო 30 აგვისტოს გამართა დარბაზობა.

დარბაზობაზე იყვნენ ა. ჩურკინი, მ. გოგიჩაიშვილი, შ. კიკნაძე, ჯ. პატიაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. გუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ი. შევარდნაძე, საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრები, რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გენერლები და ოფიცრები, რომლებიც ამ დღეებში დაჯილდოვდნენ ჩეხოსლოვაკიის მედლით „თანამებრძოლთა მეგობრობის განმტკიცებისათვის" და მათ შორის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ი. იურპოლსკი, ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. შელეპინი, ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ანდრიუშენკო, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის წევრები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს ბოგუსლავ ხნოუპეკმა, ა. ჩურკინმა და შ. კიკნაძემ წარმოთქვეს სადღეგრძელოები.

დარბაზობამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქინფორმი).

# პირველი ზარის წინ

## ახალ სკოლაში

ხვალ ჩვენი ქვეყნის ათასობით სკოლაში ახმიანდება სკოლის ზარი. დასვენებული, ზაფხულის მზით, სუფთა ჰაერით გაკაჟებული ბავშვები მიუსხდებიან მერხებს, და დაიწყება ყველაზე ნაყოფიერი, ყველაზე საინტერესო პერიოდი მათი ცხოვრებისა.

სკოლის კარს შეაღებენ ყველაზე პატარებიც — მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლეები. ისინი პირველად მიესალმებიან მასწავლებლებს და მოსწავლის ჩანთებით, სახეგაბრწყინებულნი შეეგებებიან თავიანთ ახალ სამყაროს.

ჩვენს ქვეყანაში სკოლა საყოველთაო ზრუნვით არის გარემოსილი. პარტიის XXIV ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას. პირველი სახახელო ნაბიჯები უკვე გადაიდგა, რესპუბლიკის მოსწავლეები 90 ახალ სკოლაში შეუდგებიან სწავლას.

მარტო დედაქალაქში 4 ახალი სკოლა აშენდა. მშენებლები უმეტესად დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დაკისრებულ საქმეს და პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა; შედეგი კი ის არის, რომ თბილისის 150-ე საშუალო სკოლაშიც აწკრიალდება სექტემბრის ზარი. ეს სკოლა ხილიანის ქუჩაზე აიშენა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ტრესტ „საქშახტმშენის" კოლექტივმა. ხუთი თვეა, რაც ამ ადგილზე მშენებლები მოვიდნენ, დროის ეს მონაკვეთი მცირეა იმ დიდი სასწავლო კორპუსის აშენებისათვის, რომლის ფართობიც 3.000-მდე კვადრატულ მეტრ ფართობს შეადგენს.

შენობის დროულად დამთავრებისათვის ერთნაირი მონდომებით შრომობდნენ ყველანი, სისხამ დილიდან შებინდებამდე არ ტოვებდნენ ხარაჩოებს მშენებლები, თავიანთ ადგილებს ექსკავატორების, ამწე კრანების მემანქანეები, მემონტაჟეები, კალატოზები, დურგლები, უნარიანად გაუძღვნენ საქმეს — მთავარი ინჟინერი შ. შუბლაძე, უბნის უფროსი მ. ახვლედიანი, სამუშაოთა მწარმოებელი ჯ. დემეტრაშვილი და ინჟინერი ვ. შულაია. შენობა ივნისისათვის უნდა დამთავრებულიყო.

სკოლის შენობის დამკვრელურ დროში ჩაბარებისათვის აქტიურად იმუშავეს „საქშახტმშენის" ტრესტის ადმინისტრაციამ, თანამშრომლებმა — მშენებლობის განმავლობაში ოთხჯერ მოაწყეს შაბათობა და მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს.

ფართოფანჯრებიანი ნათელი საკლასო ოთახები, ახალი დაფები და მერხები, მყუდრო დერეფნები, სკოლასთან მისასვლელი ახლადმოასფალტებული გზაც კი ბავშვების მოლოდინშია. ეზოში ისევ მშენებლები ტრიალებენ, იქაურობას წმენდენ და ასუფთავებენ, გუგუნებს ოწინარი და საშენ მასალას აწვდის მუშებს. ჯერჯერობით ხომ მხოლოდ 32 საკლასო ოთახი აშენდა.

— სკოლას 4.500-მდე კვადრატული მეტრი ფართობის ორი კორპუსი კიდევ მიუშენდება, სადაც სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები, დირექციის სამუშაო ოთახი, სამასწავლებლო, საიაქტო და სპორტული დარბაზები, ექიმის კაბინეტი და სხვა დამხმარე სათავსები მოთავსდება, — გვითხრა სკოლის დირექტორმა ნ. ენუქიძემ და დაუმატა, თუ კონტინგენტი კიდევ არ გაიზარდა, სკოლაში ერთ ცვლად მეცადინეობა იქნებაო.

ძირითადი საქმე გაკეთებულია. სადაც არის პირველი ზარი დაირეკება და გამოცოცხლდება აქაურობა, ბავშვების ჟივილ-ხივილი აავსებს მიდამოს.

ახალ სკოლაში 1 სექტემბერს 56 მასწავლებელი და 1.300-ზე მეტი მოსწავლე იზეიმებს.

კეთილი იყოს თქვენი ფეხი!

**ბ. დურგლიშვილი.**



სურათზე: ახალი, თბილისის 150-ე საშუალო სკოლის საკლასო ოთახი.

ფოტო ს. კილაძისა.

# მუშას — კარგი მასპინძლობა

**საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში**

Საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა სამრეწველო საწარმოებთან და სამშენებლო ორგანიზაციებთან არსებული მუშა-მოსამსახურეთა მომსახურე სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობა და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი კვების ამ საწარმოებში უკანასკნელ წლებში ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. მუშათა სასადილოები და ბუფეტები აღიჭურვა ახალი სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარებით, დაინერგა მომსახურების პროგრესული ფორმები და მეთოდები, მუშათა უფასო და იაფფასიანი კვება, ამაღლდა მომსახურების კულტურა, გადაჭარბებით სრულდება საქონელბრუნვის და საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმები.

ამასთან, როგორც შემოწმებამ ცხადყო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების საქმიანობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან დარღვევებს და ნაკლოვანებებს. ზოგიერთი მუშათა სასადილო არადამაკმაყოფილებლად მარაგდება ბოსტნეულით, ხილით, ბურღულეულით, რძით და რძის პროდუქტებით, თევზითა და სხვა ნაწარმით, რის გამო სასადილოებში ძირითადად მზადდება ერთფეროვანი და ძვირადღირებული კერძები.

ბათუმის სასადილოების ტრესტის სასადილოებმა შარშან და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მომხმარებელს დააკლეს ფონდით კუთვნილი ტონობით თევზი, ბურღული, ხილი, ყველი, რძე, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმი. ასეთივე მდგომარეობაა ცხინვალვაჭრობის საზოგადოებრივი კვების განყოფილებაში, ხოლო საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილებას 1970-1971 წლებში ბოსტნეულის და კარტოფილის ფონდები საერთოდ არ ჰქონია გამოყოფილი.

მთელ რიგ სასადილოებში არ არის ორგანიზებული მუშების დიეტური კვება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დონე დაბალია, საჭირო რაოდენობით არა აქვთ სამაცივრო-ტექნოლოგიური დანადგარები და დასაჯდომი ადგილები. სამრეწველო საწარმოებთან არსებულ მუშათა სასადილოებში ყოველ 1000 მუშა-მოსამსახურეზე 250-ის ნაცვლად მხოლოდ 145 დასაჯდომი ადგილი მოდის. საზოგადოებრივი კვების 304 შემოწმებული ობიექტიდან 67 უზრუნველყოფილი არ არის მაცივრებისა და ტექნოლოგიური დანადგარების საჭირო რაოდენობით, 83 კი სათანადო ინვენტარით.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კვების კომბინატის 12 საწარმოს დამატებით ესაჭიროება 20 სხვადასხვა სახის მაცივარი, 3 თვითმომსახურების ხაზი, 4 უნივერსალური დანადგარი და 12 სალაროს აპარატი. 13 მაცივარი და სავაჭრო ტექნოლოგიური დანადგარი კი გადაუდებელ რემონტს საჭიროებს. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სასადილოებს დამატებით ესაჭიროებათ 6 მაცივარი, 7 სარეცხი მანქანა და სხვ.

რუსთავის ამწესამშენებლო ქარხანასთან არსებულ № 47 სასადილოს შემოწმების პერიოდში მხოლოდ 43 ჩანგალი, 18 სუფრის კოვზი, 5 ჩაის კოვზი და 9 ჩაის ჭიქა ჰქონდა. ლითონკონსტრუქციის ქარხანასთან არსებულ ბუფეტს 8 ჩანგალი და ამდენივე კოვზი აქვს, ხოლო ჭიქების უქონლობის გამო მომხმარებლები ლიმონათს და მინერალურ წყალს ბოთლებით, ხოლო მაწონს უშუალოდ ქილებიდან სვამენ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მექანიკური საამქროსა და საშენ მასალათა კომბინატთან არსებულ ბუფეტებში თეფშების უქონლობის გამო ცივ საუზმეს მომხმარებლებს ქაღალდებით აძლევდნენ.

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების № 1 სასადილოში ღრმა თეფშების უქონლობის გამო არ მზადდებოდა წვნიანი კერძები. თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკასთან არსებულ სასადილოში ჭიქების უქონლობის გამო კაკაოსა და კომპოტს მომხმარებლები არაჟნის ქილებით სვამენ.

მთელი რიგი სასადილოები უზრუნველყოფილი არ არიან გამდინარე ცივი და ცხელი წყლით, რის გამო ჭურჭელი უხარისხოდ ირეცხება, არ მოუწყვიათ ხელსაბანები, არა აქვთ ხელსახოცები და საპონი.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან, ქიმიურ კომბინატთან და ქიმიური ბოჭკოების ქარხანასთან არსებულ სასადილოებში მომუშავე პერსონალის ხელის ჩამონაბანში და ინვენტარის ჩამონარეცხში გამოვლინდა დაბინძურების ნიშნები.

ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები მუშათა კვების გაიაფებისათვის ჯერ კიდევ არ იყენებენ სახსრებს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდებიდან, ამიტომ კერძების ღირებულება სასადილოებში მაღალია. არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ ობიექტში კვლავ ადგილი აქვს ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს. ქ. თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკასთან არსებულ № 92 სასადილოში დადგენილ იქნა ანგარიშებითი ხასიათის ურეში დამახინჯებანი.

საზოგადოებრივი კვების 33 საწარმოში გამოვლინდა უხარისხო და წონანაკლები კერძების დამზადების ფაქტები. თბილისის ავტოშემკეთებელ ქარხანასთან არსებულ სასადილოს ბუფეტში იყიდებოდა არასტანდარტული ბივშტექსი, რომელშიც პურის შემცველობამ 25,7 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც განწესით პური არ ეკუთვნის. ქარხანა „ელექტრომძრავასთან" არსებულ ბუფეტში გასაყიდად ჰქონდათ წონანაკლები შნიცელი და ბივშტექსი, რომლებიც ნაცვლად 75 გრამისა იწონიდა შესაბამისად 55 და 60 გრამს. ელმავალშემკეთებელ ქარხანასთან არსებულ ბუფეტში იყიდებოდა 60-გრამიანი ღვეზელი ნაცვლად 75 გრამისა. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანასთან არსებულ სასადილოში მომზადებულ კატლეტში და შნიცელში პურის შემცველობამ ნაცვლად 13 გრამისა შესაბამისად შეადგინა 34,4 და 34,1 გრამი. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების № 1 სასადილოში და თელავის რაიკოოპერატივის ლაფანყურის ეთერზეთების ქარხანა — საბჭოთა მეურნეობასთან არსებულ სასადილოში მომზადებულ ჩახოხბილს და ხინკალს დააკლდა კალორიულობა შესაბამისად 37,8 პროცენტი და 35,5 პროცენტი, ამასთან თვითეულ ხინკალს წონაში აკლდა 13 გრამი.

მთელ რიგ შემოწმებულ ობიექტებში დადგენილ იქნა საკასო დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფხიზელი თვალი

**კონტროლიორის გამოცდილებიდან**

ᲛᲔᲝᲠᲔ წელია, რაც რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ცხელი გაჭიმვის საამქროში სახალხო კონტროლიორად არჩეულია ინჟინერ-ტექნოლოგი ნ. მოწონელიძე. საწარმოს მთელი კოლექტივი მას იცნობს როგორც შესანიშნავ სპეციალისტს და თავისი საქმის უბადლო ოსტატს. საზოგადოებრივი დავალების შესრულების დროსაც მან დიდი უნარი გამოავლინა. მცირე დროში სახალხო კონტროლიორმა უკვე მოასწრო ბევრის თქმა და გაკეთება.

მარტო წელს ნ. მოწონელიძემ შეისწავლა და საამქროს ხელმძღვანელობისა და პარტბიუროს წინაშე განსახილველად დააყენა 23 საჭირბოროტო საკითხი. ისინი შეეხება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მანქანა-დანადგარების მოვლა-პატრონობას, ახალგაზრდა კადრების აღზრდას, ტექნოლოგიურ რეჟიმის დაცვას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და სხვ.

ადრე საამქროში მუდამ ლაპარაკობდნენ, რომ მოუგვარებელი იყო სასაწყობო მეურნეობა. ეს უარყოფით გავლენას ახდენდა, როგორც პროდუქციის წარმოებაზე, ისე ხარისხზე. ამასთან ყურადღება არ ექცეოდა თითისტარებისა და მასრების ადგილსამყოფელის შერჩევას. და ვინ იცის კიდევ როდემდის გაგრძელდებოდა დავა ამ საკითხზე, რომ საქმეში სახალხო კონტროლიორი ნ. მოწონელიძე არ ჩარეულიყო. მან დასვა საკითხი — საამქროს ადმინისტრაციას პრინციპულად ემსჯელა და მიეღო ღონისძიება აღნიშნული ნაკლის აღმოსაფხვრელად. შეიქმნა კომისია, რომელშიც თვით ნ. მოწონელიძეც შეიყვანეს. ახლა საამქროში სულ სხვა სურათია. სასაწყობო მეურნეობაში წესრიგია. ხარისხიანი და უხარისხო მასრებისა და თითისტარებისათვის ცალცალკე გაკეთდა საწყობები.

სახალხო კონტროლიორმა დროულად შეამჩნია, რომ საამქროში დაზიანდა ჭერი, იქმნებოდა დაგაზიანების საშიშროება. ამ საკითხზეც იმსჯელეს საამქროს ხელმძღვანელებმა. მალე მიღებულ იქნა გადამჭრელი ზომები, და მოსალოდნელი ავარიები თავიდან იქნა აცილებული.

ნ. მოწონელიძე ერთ დღეს რეიდზე იყო. მან თავისი თვალით ნახა, რომ გადამხვევი მანქანები ზეთს უშვებდნენ. გარდა იმისა, რომ აქ უქმად იღვრებოდა ზეთი, ადგილი ჰქონდა პროდუქციის გაჭუჭყიანებასაც. სახალხო კონტროლიორმა იმავე დღეს დააყენა საკითხი საამქროს ადმინისტრაციაში. ამ უკანასკნელმა კი მითითება მისცა საამქროს მექანიკოსს გ. ღვინჯილიას სასწრაფოდ მიეღო ზომები არსებულ დეფექტის გამოსასწორებლად.

ნ. მოწონელიძეს, მარტის სამუშაო გეგმას რომ ადგენდა დაებადა აზრი შეესწავლა საამქროში მანქანა-დანადგარების რემონტის მიმდინარეობა. ამ საკითხის შესწავლისას მან მართლაც აღმოაჩინა სერიოზული ნაკლოვანებანი. კერძოდ, უხარისხოდ იყო შესრულებული გარნიტურების შეკეთება, ადგილი ჰქონდა თითისტარების რყევადობას. სახალხო კონტროლიორმა თავისი თვალით დანახული ხარვეზები სასწრაფოდ მოახსენა სარემონტო-მექანიკური საამქროს ხელმძღვანელებს და სთხოვა ყურადღება მიექციათ რემონტის ხარისხისათვის. ამ ნაბიჯსაც გარკვეული შედეგი მოჰყვა. სასწრაფოდ გამოსწორდა ყველა არსებული ნაკლი.

სახალხო კონტროლიორის ფხიზელ თვალს შეუმჩნეველი არც ის დარჩენია, რომ საამქროში მანქანა-დანადგარები დაკომპლექტებული არ იყო პროდუქციის ასორტიმენტის მიხედვით. ამის შედეგად მუშებს დიდი მანძილის გავლა უხდებოდათ, თავიანთი მოსამსახურების მანქანებზე რომ მისულიყვნენ. ცხადია, ეს იწვევდა მოცდენებს, ართულებდა მანქანათა მომსახურებას და, რაც მთავარია, ძნელდებოდა პროდუქციის წარმოების ზრდა.

მანქანების დემონტაჟი უდავოდ რთული საკითხი იყო, მაგრამ კონტროლიორმა მაინც შეძლო მიეღწია თავისი მიზნისათვის. ამ დღეებში დამთავრდა ოთხი მანქანის ასორტიმენტების მიხედვით დაკომპლექტება. უახლოეს ხანებში კიდევ ორ მანქანას შეეცვლება ადგილსამყოფელი.

უკეთეს შედეგებს რომ მიაღწიოს, ნ. მოწონელიძე თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებს ელვა-ფურცლებს. შეამჩნევს თუ არა რაიმე უმსგავსოებას, იგი ამის შესახებ სპეციალური ფურცლით — „ყურადღება, ამხანაგო! ასე ნუ გააკეთებ!" ამცნობს მთელ საამქროს. აი ერთ-ერთი სიგნალი: „მზა პროდუქციის მწონავების საყურადღებოდ! საამქროში აღმოჩნდა ჭუჭყიანი, ჩამოშლილი, გაუჭიმავი და დაბალი ნახვევი ძაფი. ეს მწონავებმა ვერ შეამჩნიეს. მსგავსი შემთხვევა არ უნდა გამეორდეს!" ანდა მეორე: „საამქროში ძირს ყრია ძაფიანი მასრები, ბობინები. ყურადღება არ ექცევა სართავი მანქანებიდან ძაფის დროულად მოხსნასა და დამუშავებას. ცვლის უფროსებმა მომავალში არ უნდა დაუშვან მსგავსი შემთხვევა!".

ასე ფხიზლად დგას სახალხო კონტროლიორის საგუშაგოზე ქარხნის სპეციალისტი ნ. მოწონელიძე. წინ კვლავაც მრავალ საინტერესო სამუშაოთა გეგმები ესახება.

**ზ. მერკვილაძე.**

# აქტივის ძალა

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად ჩამორჩა. არ სრულდება პროდუქციის გამოშვების გეგმები, დაბალია ნაწარმის ხარისხი, ადგილი აქვს ნედლეულის გადახარჯვას. მართალია, მოძველებული დაზგები, აბრეშუმის პარკის დაბალი ხარისხი, მუშათა ხშირი დენადობა დიდად უშლის ხელს თელაველ ფეიქრებს დავალების პირნათლად შესრულებაში, მაგრამ მარტო აღნიშნული პირობები როდია დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და ნედლეულის გადახარჯვის მიზეზი. როცა საქმეში სახალხო კონტროლის ჯგუფი და საგუშაგოები ჩაერივნენ, გამოირკვა, რომ დანაშაული ზოგიერთ მუშასა და ქვეოსტატსაც მიუძღოდა. ზოგი დაზგა-დანადგარი მოუვლელი იყო, დროზე არ იწმინდებოდა პარკის სახარში ქვაბები, ცილინდრები, ბევრი იყრებოდა ნარჩენებში ხვევადაუმთავრებელი პარკი. ეს კი კიდევ უფრო ადიდებდა წუნს და იწვევდა ნედლეულის გადახარჯვას.

ჯერ კიდევ შარშან სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ ვ. ჯავახიშვილმა, ჯგუფის აქტიურმა წევრებმა მ. ყარაულაშვილმა, ს. მისრიაშვილმა და დ. ნადირაძემ გულდასმით შეამოწმეს მექანიკური საამქროს დაზგა-დანადგარების მოვლა-პატრონობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ მარტო მეორე ცვლის ექვს ბრიგადაში 13 დაზგა ცუდად იყო მოვლილი. მუშები თ. მჭედლიშვილი, ა. აბრამოვი, ქ. ოდოშაშვილი, ე. ღვარძელაშვილი, ა. ყულუმჩიანი და სხვები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდნენ დაზგა-დანადგარებს, ნაკლებად ჩანდა მზრუნველი ხელი, უშვებდნენ წუნს და უყაირათოდ ხარჯავდნენ ნედლეულს.

შემოწმების შედეგები განიხილეს ცვლის მუშათა კრებაზე, ცალკეც ესაუბრნენ წუნისმკეთებლებს, მიუთითეს დაშვებულ შეცდომებზე და. დაამყარეს კონტროლი მათს მუშაობაზე. სახალხო კონტროლიორებმა გააძლიერეს სიფხიზლე, ხშირად აწყობდნენ რეიდებს და მოულოდნელ შემოწმებებს საამქროებში. ამან გარკვეული ნაყოფი გამოიღო. მეტმა წილმა მუშებმა, რომლებიც შარშან დიდ წუნს უშვებდნენ, თანდათან გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი და ბევრმა მათგანმა ნედლეულის ხარჯვაში ეკონომიასაც მიაღწია.

სახალხო კონტროლიორების სიფხიზლისა და მეცადინეობის შედეგად მარტო ერთ კვარტალში ფაბრიკამ დაზოგა 18 ტონა ქვანახშირი, აგრეთვე საგრძნობი რაოდენობით ბენზინი და ელექტროენერგია.

ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა. ახლა ფაბრიკის მაჩვენებლები რომ უკეთესია, ამაში გარკვეული როლი სახალხო კონტროლიორებმაც შეასრულეს. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობის გაწევაა საჭირო იმისათვის, რომ თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში სრული წესრიგი დამყარდეს და საწარმომ თავი დააღწიოს ჩამორჩენას. ამაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სახალხო კონტროლიორებმა.

**ა. თვალიაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# მასალები კონტროლით!

კომუნისტი

**სახალხო კონტროლის გვერდი**

№ 57

# სანარმოს ღირსების სადარაჯოზე

ᲤᲝᲗᲘᲡ № 2 სამკერვალო ფაბრიკის სახალხო კონტროლიორები კვარტალში ერთხელ ადგენენ სამუშაო გეგმას, განიხილავენ და ამტკიცებენ მას ჯგუფის კრებაზე. ამ გეგმის მიხედვით ჯგუფის წევრები აწყობენ რეიდებს, სისტემატურად ამოწმებენ საწარმოში შრომის დისციპლინას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, სანიტარულ წესრიგს, მუშათა სასადილოს მუშაობას და სხვ.

ამას წინათ სახალხო კონტროლიორებმა შეამოწმეს სახანძრო დაცვის მუშაობა. გამოირკვა, რომ სამკერვალო საამქროში, სადაც ინახება დიდძალი მატერიალური ფასეულობანი, საკმაო რაოდენობით არ იდგა ცეცხლსაქრობები, ხოლო ისინიც, რომლებიც იდგა, ვადაგასული და უვარგისი აღმოჩნდა. არსებულ ნაკლოვანებებზე წერილობით ეცნობა ფაბრიკის დირექციას, რომელმაც გამოსცა ბრძანება სახანძრო რაზმის წევრთა გადახალისებისა და მუშაობის გარდაქმნის მიზნით.

სახალხო კონტროლიორებმა ნ. ნასარაიამ და ნ. დავითაიამ გამოსასვლელ დღეებში მოულოდნელად შეამოწმეს საყარაულო დაცვა. ყველა ობიექტის მიღება-ჩაბარება ხდება სათანადო ხელმოწერით სპეციალურ ჟურნალში. გათვალისწინებულ იქნა, რომ ტერიტორიის არ ჰყოფნიდა განათება ზღვის სანაპირო მხარეს, რისთვისაც დაიდგა დამატებითი შუქურა.

სახალხო კონტროლიორმა ლ. მაკალათიამ აღმოაჩინა წვრილმანი ქურდობის შემთხვევა. მუშებს ჟ. გუგუშვილსა და თ. გაბუნიას ხელჩანთაში გადაემალათ ორი ცალი კაბა. საქმე განსახილველად გადაეცა ამხანაგურ სასამართლოს. სასამართლომ ორთავეს გამოუტანა საზოგადოებრივი გაკიცხვა.

სახალხო კონტროლიორების მიერ მზა პროდუქციის ხარისხისა და სტანდარტული ზომების შემოწმებით დადგინდა, რომ № 8 და № 14 ბრიგადებში ადგილი ჰქონდა ნაწარმისათვის არაშესაბამისი ხარისხის მიკუთვნებას. ამავე დროს ეს ბრიგადები ჩამორჩებოდნენ გეგმის შესრულებაშიც, მაგრამ სახალხო კონტროლის წევრებისა და № 8 და № 14 ბრიგადების წუნდებლების მ. ბულიას და მ. თირქიას სიფხიზლის შედეგად ზემოთ ჩამოთვლილმა ბრიგადებმა მდგომარეობა გამოასწორეს და ბრიგადის წევრებიც დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელით.

პროდუქციის ხარისხისათვის კონტროლის უკეთ გაწევის მიზნით შემოღებულ იქნა ხარისხის დღე, რომელიც ტარდება ყოველ ორშაბათს. ამ დღეს ეწყობა ხარისხის სრულიად საფაბრიკო შემოწმება, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელშიც შედიან მთავარი ინჟინერი, ტექნიკური კონტროლის უფროსი ინჟინერი და საამქროს ტექნოლოგები. ისინი სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სახალხო კონტროლიორებმა შეამოწმეს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა პირადი საქმეები. ყველა მათგანს დადებული აქვს ხელშეკრულება და შედგენილია ატესტაცია. არც ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ არის ნასამართლევი. შევებულებაში მათი გაშვება ხდება მატერიალურ ფასეულობათა სათანადო გადაბარებით დაშვებული ბრძანებების საფუძველზე.

დიდი ყურადღება ეთმობა მონათესავე საწარმოთა მოწინავე გამოცდილების გაცნობას და დანერგვას. ამ მიზნით ფაბრიკის სახალხო კონტროლის წევრები გ. სესკურია, ც. წულაია და გ. ტალაბაძე იყვნენ ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში, საიდანაც ბევრი სიახლე გადმოიღეს.

ფაბრიკა იბრძვის იმისათვის, რომ უახლოეს წლებში მიაღწიოს საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს. ამ საქმეში საწარმოს კოლექტივს მხარში უდგანან სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები.

**ი. ქავთარაძე,**
ქ. ფოთის № 2 სამკერვალო ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

# კონტროლი რომ ქმედითი იყოს

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ შეამოწმა სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი. აღინიშნა, რომ რაიონის მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ბოლო დროს საგრძნობლად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა და დახმარება სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობისადმი. ამის შედეგად სახალხო კონტროლის ჯგუფების უმრავლესობა უკეთ ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულების მიმდინარეობისადმი, აქტიურად იბრძვის რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ამასთანავე ბიუროს სხდომაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ზოგიერთ ორგანიზაციაში. მაგალითად, ჭრებალოს სოფლის კოოპერატივის, ცახის ტერიტორიულ, საქალაქო საბჭოს, წესის, ველევისა და ჭელიაღელის კოლმეურნეობების სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს აკლიათ პარტიული მზრუნველობა და დახმარება, რის გამო მათი საქმიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

განხილულ საკითხზე ბიურომ მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის გამოცოცხლებას, მათდამი პარტიული კონტროლისა და დახმარების გაძლიერებას.

# დაუმთავრებელი მშენებლობა

ᲝᲗᲮᲘ წლის წინათ ბარისახოს მახლობლად, კორშაში საძირკველი ჩაეყარა სასადილოს ახალ შენობას. ამ სასიამოვნო ამბით გახარებულმა ხევსურებმა ფუძე დავულოცეთ მშენებლობას. მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი გამოდგა — შენობა ჯერაც მზად არ არის. პროექტით სასადილო თუნუქით უნდა გადაეხურათ, მაგრამ შიფერს დავჯერდით, კედლებიც უხარისხოდ ააშენეს, შენობას აკლია ფანჯრები, ტიხრები, არ არის საქვაბე. მართალია, გასათბობი რადიატორები დადგეს, მაგრამ არ ჩანს თვითონ გათბობის წყარო. რაც გაკეთდა, იმასაც წვიმა აფუჭებს და აზიანებს.

ამ სასადილოს ცეკავშირის სამშენებლო ტრესტი აშენებს. ვინ მოთვლის, რამდენი სამუშაოთა მწარმოებელი შეიცვალა, მშენებლობას კი არაფერი ეშველა. საინტერესოა როდემდის გაგრძელდება ასე?

**თ. ცხორაგაული.**
დუშეთის რაიონი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ვ. ოქრუაშვილი (მარცხნივ), კონტროლიორები ვ. სტეპანოვი და გ. კუმარიტოვი ამოწმებენ მოდერნიზებული დამხუფავი ავტომატის მუშაობას.

ფოტო ს. კილაძისა.

# დარია თუ ავდარია...

**მთის სოფლის მშრომელთა სატკივარი**

ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ კარგი ამინდიც უნდა იყოს, სოფელ ნაქალაქარიდან ღულელებამდე მგზავრობა ძნელია. გზა შესაკეთებელია, ჩანგრეულია ხიდები. ასე გაძნელებულია მგზავრობა გუდანელებშიც. სოფლის წყარო, რომელიც ამ ოთხი ათეული წლის წინათ არის გაყვანილი, დაზიანდა, მისი სათავე ნაგებობა ჩაინგრა, შიგ ჩადის ნაგავი, დანგრეულია სადენი ქსელიც.

არც ამით ამოიწურება ჩვენი გასაჭირი.

არა გვაქვს კლუბი, ბიბლიოთეკა, საერთოდ ერწოს ზონას, სადაც თიანეთის რაიონის მცხოვრებთა ნახევარზე მეტია, ნაკლები ყურადღება ექცევა. რაიონულ ცენტრს დაშორებული ვართ დიდი მანძილით. მიუხედავად ამისა, არა გვაქვს აფთიაქი და საავადმყოფო.

ასევე არ გაგვაჩნია წისქვილი, იძულებული ვართ საფქვავი წავიღოთ რაიონულ ცენტრში. ამ საკითხების მოგვარება ძნელი არ არის. თუ კი თიანეთის მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა და ჩვენი სასოფლო საბჭო მოინდომებდნენ, არც ჩვენ დავზარდებით საყოველთაო-სახალხო საქმეში, ოღონდ ვინმემ ხელმძღვანელობა და თავკაცობა იკისროს.

**თიანეთის რაიონის სოფელ გუდანელების მცხოვრებნი: ა. ჭინჭარაული, გ. ქერაული, ა. ჭინჭარაული, ლ. არაბული.**

# ნახმარი ტარა გადასაგდები როდია

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია სარეალიზაციოდ მზად ითვლება მხოლოდ სათანადო ტარაში მოთავსების შემდეგ. საერთოდ წარმოების ადგილიდან მოხმარების რაიონამდე პროდუქციის გატანა უტაროდ წარმოუდგენელი და შეუძლებელია. ამიტომაც წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება ტარის გამოყენებაც.

საქართველოში საკმაოდ არის განვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის წარმოება, ამასთანავე ამ პროდუქციის მოხმარება ხდება არა მარტო რესპუბლიკის შიგნით, არამედ მისი დიდი ნაწილი იგზავნება სსრ კავშირის სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე საზღვარგარეთაც. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ იზრდება ტარის გამოყენების მასშტაბები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 1970 წელს გამოყენებული ყველა სახის ხის ტარის დასამზადებლად დაიხარჯა 600 ათას კუბმეტრზე მეტი ხის მერქანი. სპეციალისტების აზრით, მერქნის ასეთი რაოდენობის მისაღებად უნდა გაეკაფათ რამდენიმე ათასი ჰექტარი ტყის მასივი, ხოლო, მის გადმოსაზიდად საჭირო იყო სულ მცირე 7-8 ათასი რკინიგზის ვაგონი.

ზემოთ მოყვანილი ციფრები მოწმობს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის ახალი ტარის მოხმარების შესამცირებლად სხვადასხვა რეზერვების გამოყენებას. ერთ-ერთ ასეთ რეზერვს წარმოადგენს ხისა და მუყაოს ტარის მოხმარების გახანგრძლივება, მისი ბრუნვადობის გადიდება, ანუ განმეორებითი და მრავალჯერადი გამოყენება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ნახმარი ტარის შეგროვების, შეკეთებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს. ნახმარი ტარის დიდი ნაწილი აღარ უბრუნდება სახალხო მეურნეობას.

დადგენილია, რომ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების მხრივ საჭირო ზომების მიუღებლობის შედეგად მთელი რიგი ორგანიზაციები და საწარმოები არ ასრულებენ მთავრობის მითითებებს, ნახმარ ტარას არ აბარებენ დანიშნულებისამებრ და ანიავებენ მას.

ტრესტ „საქტარის" მიერ გამოვლინებულია 7,5 ათასი კუბმეტრი ხისა და 2,2 ათასი ტონა მუყაოს ნახმარი ტარის ჩაუბარებლობისა და განიავების ფაქტები, რისთვისაც დამნაშავეებმა გადაიხადეს დიდი ჯარიმები. საქვაჭრობის ზესტაფონის განყოფილებას გადახდილი აქვს ჯარიმა 13,7 ათასი მანეთი, „საქნახშირის" კომბინატის მუშათა მომარაგების სამმართველოს ტყიბულის განყოფილებას — 15,3 ათასი მანეთი, ჯარიმები გადახდილი აქვთ აგრეთვე თბილისის ხილბოსტანვაჭრობას, თბილვაჭრონომვაჭრობას და სხვა ორგანიზაციებს.

ნახმარი ტარის სრულად და დროულად ჩაუბარებლობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მოქმედი ინსტრუქციის საწინააღმდეგოდ ცეკავშირის სისტემის ტარის სარაიონთაშორისო ბაზები და ზოგიერთი რაიკოოპკავშირის ტარის საწყობები კოოპორგანიზაციებიდან თვითნებურად აგროვებენ ტარას, რომელსაც დანიშნულებისამებრ არ აბარებენ, ასეთი ფაქტები გამოვლინდა მარნეულის ტარის სარაიონთაშორისო ბაზაში, ახალციხის რაიკოოპკავშირის ტარის საწყობში და სხვა კოოპორგანიზაციებში.

ტრესტ „საქტარის" ბაზები კი სათანადოდ არ არიან მომზადებული და დანადგარებით აღჭურვილი ნახმარი ტარის მიღება-გადამუშავებისათვის. ამ ბაზებში ტარის შეკეთება ხელით, პრიმიტიული წესებით და ზოგჯერ უხარისხოდ ხდება. არ სრულდება მთავრობის დადგენილება ტარის შემკეთებელი საწარმოების მშენებლობის შესახებ.

ნახმარი ტარის შეგროვება-შეკეთება საქმის მხოლოდ ერთი მხარეა, მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია. მთავარია ამ ტარის სახალხო მეურნეობაში განმეორებით გამოყენება, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მოწესრიგებული. ეს მაშინ, როცა ნახმარი ტარის გამოყენება პროდუქციის თვითღირებულებაში ტარის ღირებულებას თითქმის ერთიორად ამცირებს.

მთელი რიგი ორგანიზაციები და საწარმოები არ ასრულებენ სპეციალური ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რომ „საწარმოები, ორგანიზაციები და მშენებლობანი ვალდებული არიან პირველ რიგში გამოიყენონ დაბრუნებული ტარა, ახალი კი მხოლოდ მაშინ, თუ იგი არა აქვთ". ზოგიერთი საწარმოები, უზრუნველყოფილი არიან რა ახალი ტარით, უარს აცხადებენ ნახმარი ტარის მიღება-გამოყენებაზე.

მაგალითად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1970 წელს ფონდით გამოყოფილი ხის ნახმარი ტარა 5,5 ათასი კუბმეტრის ნაცვლად აითვისეს 3,2 კუბური მეტრი, ანუ 2,3 ათასი კუბმეტრით ნაკლები, შესაბამისად კვების მრეწველობის სამინისტრომ — 2,2 ათასი კუბმეტრით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 1,0 ათასი კუბური მეტრით ნაკლები და სხვ.

ცეკავშირის საკონსერვო ქარხნებმა 1970 წელს მუყაოს ნახმარი ტარის გამოყენებაზე საერთოდ უარი განაცხადეს, ხოლო ხის ტარა 96,0 ათასი ცალის ნაცვლად გამოიყენეს 54,7 ათასი ცალი. ამ საწარმოებში მსგავსი მდგომარეობა მეორდება მიმდინარე წელსაც.

სახელმწიფო კომიტეტ „საქკონსერვხილბოსტანის" სისტემის „საქკონსერვტრესტმა" 1970 წელს ფონდით გამოყოფილი 2,6 ათასი კუბური მეტრის ხის ნახმარი ტარის ნაცვლად აითვისა 4,1 ათასი კუბური მეტრი. მთელმა რიგმა საკონსერვო ქარხნებმა ეს ტარა კუთვნილზე 2-3-ჯერ მეტი გამოიყენეს, რაც მისასალმებელია. მაგრამ გაუმართლებელია და დასაგმობია ის ფაქტი, რომ ამ ტრესტის 26 საკონსერვო ქარხნიდან 1970 წელს 18 ქარხანას სრულებით არ მიუღია ნახმარი ტარა.

მსგავსი მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც. ტრესტ „საქტარაში" უკვე მიღებულია ზოგიერთი საკონსერვო ქარხნის წერილი იმის შესახებ, რომ ისინი უზრუნველყოფილი არიან ახალი ტარით და არა სურთ ნახმარი — ძველი ტარის გამოყენება.

ასე რომ არ იყოს, მაშინ საჭირო არ იქნებოდა „საქტარის" ბაზებიდან მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებისა და რაიონებისათვის დიდი რაოდენობით ტარის მიწოდება. ტრანსპორტისა და ბაზების მუშაკებმა კარგად იციან, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული რკინიგზის ტრანსპორტით ნახმარი ტარის გადაზიდვა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ტარის გაბარიტი საშუალებას არ იძლევა მთელი ტონაჟით დაიტვირთოს ვაგონი. როგორც რკინიგზელები ამბობენ, ამ დროს რკინიგზის ვაგონით ტვირთის ნაცვლად ჰაერის „გადაზიდვა" ხდება.

ამ მდგომარეობის თავიდან აცილება არც თუ ძნელია, საჭიროა მხოლოდ იმ მუშაკებმა, რომლებსაც ამ საკითხის მოწესრიგება ევალებათ, სერიოზულად მოჰკიდონ ხელი საქმეს. ავიღოთ თუნდაც „საქკონსერვტრესტის" ხაშურის საკონსერვო ქარხანა, რომელსაც იმის გამო, რომ უზრუნველყოფილი იყო ხის ახალი ტარით, 1970 წელში სრულებით არ მიუღია ნახმარი ტარა, მაშინ როცა „საქტარის" ხაშურის ბაზის მიერ საკონსერვო მრეწველობისათვის საჭირო ხის ნახმარი ყუთები იგზავნებოდა მოლდავეთის სსრ, როსტოვისა და კრასნოდარის საკონსერვო ქარხნებში. ჩვენი რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობა, და მათ შორის ხაშურის საკონსერვო ქარხანაც, ხის ახალ ტარას ძირითადად რუსეთის ფედერაციის შორეული რაიონებიდან იღებს.

ამ შემთხვევაში ხაშური გამონაკლისს როდი წარმოადგენს. სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითები შეიძლება დავასახელოთ სხვა რაიონებიდანაც. ამასთან დაკავშირებით მკითხველი ალბათ იტყვის, ეს კი უყაირათობა და დანაშაულიაო.

გონივრული იქნებოდა, თუ მოკავშირე რესპუბლიკების ქარხნებში გაგზავნის ნაცვლად ნახმარ ტარას მთლიანად ადგილზე, ჩვენი ქარხნები გამოიყენებდნენ. ხოლო შესაბამისი რაოდენობით შეამცირებდნენ ახალი ტარის შემოსაზიდ ფონდებს, რითაც დიდი თანხები დაიზოგებოდა. მაგრამ ეს არ კეთდება მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები — თანამდებობის პირები, რომლებსაც ამ საკითხის მოწესრიგება ევალებათ, ეტყობა, საქმეს ფორმალურად, ვიწრო უწყებრივი თვალსაზრისით ეკიდებიან და არ გამოდიან საერთო სახელმწიფო ინტერესებიდან.

შემოწმების მასალები ამ დღეებში განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და დარღვევების დაშვებისათვის თანამდებობის პირებს სათანადო სასჯელი დაადო, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და წარმოებების იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც ნახმარი ტარის შეგროვების, შეკეთებისა და განმეორებით გამოყენების საკითხების მოწესრიგება ეხებათ. სახალხო კონტროლის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს კი დაევალა — მკაცრი კონტროლი დააწესონ ნახმარი ტარის შეგროვება-გამოყენების საქმეში.

საჭიროა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა და სახალხო კონტროლის კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნახმარი ტარის შეგროვების, შეკეთების, სახალხო მეურნეობაში მისი განმეორებით გამოყენებისა და საერთოდ ტარის ყაირათიანად ხარჯვის საკითხებს, სასწრაფოდ აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

**ა. ლომიძე,**
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი, დამსახურებული ეკონომისტი.

# მსოფლიო დღეს

## ინდირა განდი: საბჭოთა კავშირი ინდოეთის მეგობარია

**დელი, 30 აგვისტო. (საკდესი). „ჩვენს ხალხს საბჭოთა კავშირი მეგობრად მიაჩნია. სწორედ ამიტომ ჰპოვა ხელშეკრულებამ ესოდენ ფართო მხარდაჭერა ჩვენს ქვეყანაში“, — განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ.**

უპასუხა რა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის რომეშ ჩანდრას შეკითხვებზე, იუწყება ინდოეთის მთავრობასთან არსებული ინფორმაციის ბიურო, ინდირა განდიმ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა წლების მანძილზე მრავალი მიმართულებით ვითარდებოდა. ორივე ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, ერთობლივად იბრძვის რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ; საბჭოთა კავშირი გვეხმარება დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარების პროგრამის განხორციელებაში.

მშვიდობიანი თანაარსებობა და იმის რწმენა, რომ ომი უნდა გამოირიცხოს როგორც სადავო პრობლემათა გადაჭრის საშუალება, ჩვენი პოლიტიკის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია, თქვა შემდეგ ინდირა განდიმ. ამავე დროს ჩვენ ვილაშქრებთ კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. სსრ კავშირი განუსაზღვრელ მხარდაჭერას უწევს ჩვენს მიუმხრობლობის პოლიტიკას, რაც ხელშეკრულებაში აისახა.

მიუმხრობელი ქვეყნების ინტერესები უნდა დავიცვათ საომარი ავანტიურიზმის საფრთხისაგან, აღნიშნა ინდირა განდიმ. უშიშროება უნდა უზრუნველვყოთ იმ გზით, რომელიც გამორიცხავს ჰეგემონიასა და კონფრონტაციას და დაამყარებს ხანგრძლივ მშვიდობას: „სწორედ ამას უწყობს ხელს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება“.

„ხელშეკრულება ადასტურებს ორივე მთავრობის სურვილს, რომ განაგრძონ ბრძოლა კოლონიალიზმისა და რასიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. — ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას განიარაღებისათვისაც. ორივე ქვეყნის ამ საქვეყნო გადაწყვეტილების დადასტურებამ უნდა განამტკიცოს მშვიდობისათვის მოძრაობა“.

ინდირა განდი და რომეშ ჩანდრა საუბრის მსვლელობაში შეეხნენ აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის სხვა საკითხებს, კერძოდ, აღმოსავლეთ პაკისტანში შექმნილ ვითარებას.

შეეხო რა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არსებულ მდგომარეობას, პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის მიღწევა ამ რაიონში „დამოკიდებულია ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის პრობლემის გადაჭრაზე“. მე, თქვა ინდირა განდიმ, მჯერა, რომ თუ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ამასწინანდელი წინადადებებით გათვალისწინებული უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანა განხორციელდება განსაზღვრულ, დროით გათვალისწინებულ ვადებში, მაშინ სამხრეთ ვიეტნამი თვითონვე გადაწყვეტს თავისი მომავლის საკითხს გარედან ყოველგვარი სამხედრო თუ პოლიტიკური ჩარევის გარეშე.

დაახასიათა რა ამჟამად ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაცია, როგორც პოტენციურად საშიში ვითარება, ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ გზები, რომლებითაც უნდა გამოვნახოთ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრა, დასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის რეზოლუციით.

საქდესის მიმოხილვა

## ამ ერთ კვირაში

- კვლავ პოლიტიკური მკვლელობა
- საარჩევნო ფარსი საიგონში
- ღალატის გზით

**ამერიკაში** ჩაიდინეს მორიგი პოლიტიკური დანაშაული, რომელმაც მთელი ამერიკელი ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.

„ჯერ ზურგში ესროლეს, შემდეგ კი, როცა ნახეს, რომ ისევ ცოცხალი იყო, თავში დაახალეს ტყვია და მოკლეს“. — ასე აღწერს ამერიკელ ზანგთა უფლებებისათვის ცნობილი მებრძოლის ჯორჯ ჯექსონის მკვლელობას სან-კუენტინის საპყრობილის ერთ-ერთი ტუსაღი.

ამ საპყრობილის 26 პატიმარმა სასამართლო ხელისუფლებს გადასცა პეტიცია, რომელშიც აცხადებენ, რომ ჯექსონის მკვლელობა წინასწარგანზრახული და დიდი ხნის დაგეგმილი მკვლელობა იყო.

ხელისუფლები ცდილობენ დაფარონ დანაშაულის კვალი და სან-კუენტინის ტრაგედიის სხვადასხვა ვერსიას ავრცელებენ. კერძოდ ამტკიცებენ, ჯექსონი „გაქცევის ცდის დროს“ მოკლესო. მაგრამ ეს ვერსია ამხილეს და უარყვეს წინასწარი სასამართლო გარჩევის დროს.

ჯორჯ ჯექსონმა ბოლომდე დაცალა იმ ტანჯვა-წამების ფიალა, რომელიც წილად ხვდა შეერთებული შტატების ჩაგრულ და დამონებულ ზანგ მოსახლეობას. სიცოცხლის თერთმეტი წელი სიკვდილამდე მან საპყრობილეში გაატარა. აქ დაწერა ჯექსონმა წიგნი, რომელიც მოგვითხრობს 25 მილიონი შავკანიანი ამერიკელის მძიმე ხვედრზე.

რეაქციამ გადაწყვიტა გასწორებოდა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის საძულველ მებრძოლს და დააბრალა საპყრობილის ზედამხედველის მკვლელობა, თუმცა ჯექსონს აქ ბრალი არ მიუძღოდა. ჯექსონს სურდა სასამართლოზე დაემტკიცებინა, რომ უდანაშაულოა. მაგრამ რასისტებმა, რომლებსაც აშინებდათ მხილება და ის, რომ პროცესის დროს გამომჟღავნდებოდა ის საშინელი წესები, რომლებიც პოლიტიკურ პატიმართა საპყრობილეებში არსებობს, სასწრაფოდ ფიზიკურად გაანადგურეს ზანგთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ჯექსონი სან-კუენტინის ზედამხედველებმა მოკლეს, მაგრამ მთავარი დამნაშავეა ამერიკული რასიზმი, როგორც ანჯელა დევისმა განაცხადა, „ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სისტემა“.

ჯექსონის მკვლელობაში ჩანს იმათი „ხელი“, ვინც მოკლა მარტინ ლუთერ კინგი, „შავი ავაზების“ ლიდერი ფრედ ჰემპტონი, იმათი, ვინც ხვრეტდა ოგასტში გამართული დემონსტრაციების მონაწილე ზანგებს, ვინც ააფეთქა ზანგთა ეკლესია ალაბამაში, დაბოლოს, ვინც ამზადებს ახალ დანაშაულს — რასიზმის წინააღმდეგ მეორე შეუპოვარი მებრძოლის — ანჯელა დევისის ფიზიკურ განადგურებას.

როგორც ამას წინათ აღნიშნა პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა, მისი სიცოცხლე სერიოზულ საფრთხეშია.

სან-კუენტინის საპყრობილეში გასროლილმა ტყვიებმა მთელი ამერიკა შეაძრწუნა. ჯექსონის მკვლელობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ხელისუფლების მესვეურნი თავიანთ რეპრესიულ აპარატს წარმართავენ იმათი დათრგუნვისათვის, ვინც ბრძოლას უცხადებს კაპიტალისტურ სისტემას.

**საიგონში** დიდი ამბები ხდება იმ საარჩევნო ფარსთან დაკავშირებით, რომლის გათამაშებას აპირებს ამერიკა-საიგონის რეჟიმი. კვირას, 29 აგვისტოს სამხრეთ ვიეტნამში მოეწყო „ეროვნული კრების“ ქვემო პალატის „არჩევნები“, ხოლო ოქტომბრის დამდეგს გათვალისწინებულია „პრეზიდენტის არჩევნები“.

ამ მორიგი პოლიტიკური ინსცენირების მიზანი ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობა ფართოდ გამოეხმაურა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას, კერძოდ, წინადადებას, რომ სამხრეთ ვიეტნამში შეიქმნას ეროვნული თანხმობის ფართო მთავრობა და გაიმართოს თავისუფალი არჩევნები.

ამასთან აღნიშნულია, რომ ამ მთავრობაში შეიძლება შევიდნენ როგორც სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წარმომადგენლები, ისე საიგონის ადმინისტრაციის ის წარმომადგენლები, რომლებსაც სურთ მშვიდობა და ნეიტრალიტეტი.

ასეთი მთავრობის შექმნის ერთ-ერთ პირობად პატრიოტულმა ძალებმა წამოაყენეს მოთხოვნა, რომ გადადგეს მარიონეტი პრეზიდენტი თხიეუ, რომელიც მხარს უჭერს ამერიკის ინტერვენციის გაფართოებას, ომს „სრულ გამარჯვებამდე“.

იმის მაგივრად, რომ კონსტრუქციული პასუხი გაეცათ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წინადადებებზე, რომლებიც სახავენ ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების რეალურ პერსპექტივებს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა საიგონელმა მარიონეტებმა წამოიწყეს არჩევნების ფარსი, რათა მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინათ, რომ სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობა „ფართოდ უჭერს მხარს თხიეუს“.

გამორიცხული არ არის, რომ ამერიკის ოკუპაციის, სამხედრო-პოლიციური დიქტატურისა და თავხედური ფალსიფიკაციის პირობებში თხიეუ და მისი ხელქვეითები „მიიღებენ“ ხმების საჭირო რაოდენობას. მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიის მთელმა მსვლელობამ ცხადყო, რომ სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობას სძულს და ეზიზღება ამერიკის მარიონეტი.

საიგონსა და სამხრეთ ვიეტნამის სხვა ქალაქებში შეიქმნა „თაღლითური არჩევნების წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო კომიტეტები“.

საგულისხმოა, რომ თხიეუს წინააღმდეგ მარიონეტული ადმინისტრაციის წევრებიც კი ილაშქრებენ. საარჩევნო კომედიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავისი კანდიდატურები მოხსნეს გაზეთ „თხოი დაი მოის“ მთავარმა რედაქტორმა ნგუენ კიენ ზიანმა, პროვინციული საბჭოს უფროსმა ბანმეთხუოტედამ და „ეროვნული კრების“ დეპუტატობის ბევრმა სხვა კანდიდატმა.

„პრეზიდენტის არჩევნებში“ მონაწილეობაზე უარი თქვეს გადამდგარმა გენერალმა ზიონგ ვან მინმა და „ვიცე-პრეზიდენტმა“ ნგუენ კაო კიმ. ყველამ თავისი კანდიდატურის მოხსნის მოტივად თხიეუს ბინძური მაქინაციები დაასახელა.

სამხრეთ ვიეტნამის ბევრ ქალაქში იწყობა მიტინგები და დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეები გადაჭრით მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტოს აგრესიული ომი, მხარი აღარ დაუჭიროს საიგონის ძირგამომპალ რეჟიმს თხიეუს მეთაურობით და სერიოზული პასუხი გასცეს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სამშვიდობო წინადადებებს.

**მალავის** პრეზიდენტი ჰესტინგს ბანდა ვიზიტად ჩავიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ჯერ კიდევ მისი მოგზაურობის წინა დღეებში იოჰანესბურგის რადიომ გამოაცხადა, რომ შესაძლოა მალავის პრეზიდენტი გახდეს ერთგვარი „პირველმკვალავი“, რომელიც შავი აფრიკის სხვა ლიდერებს გაუკაფავს გზას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამიტომ რადიომ თეთრკანიან მცხოვრებლებს მოუწოდა ბანდას „გულთბილად შეხვედროდნენ“.

მართლაც, როცა „პირველმკვალავი“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩავიდა, მას მართლაც რომ მეფური პატივი სცეს. თვით რასისტი პრემიერი ფორსტერი და სამხრეთ აფრიკის მინისტრები მასთან ერთ სუფრაზე ისხდნენ და ხელს არ თმევდნენ. ერთი შეხედვით ვინმეს მართლაც ეგონებოდა, რომ აპარტეიდის ავტორები 180 გრადუსით შემობრუნდნენ, ხოლო ბანდამ მიაღწია თავის მიზანს — დარწმუნების, მათთან კონტაქტებისა და შეხვედრების გზით რასისტებს შეუცვალა შეხედულებანი. ეს იყო წარმატება [illegible] პოლიტიკას, რომელსაც ბანდა გააფთრებით იცავს.

მაგრამ ფაქტები სულ სხვას ცხადყოფენ. სწორედ იმ დღეებში, როცა ბანდა მოგზაურობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქებში და ქადაგებდა, რომ სწორია და აფრიკელებისათვის ხელსაყრელი „დიალოგის“ კურსი, გაზეთმა „რანდ დეილი მეილმა“ გამოაქვეყნა სამხრეთ აფრიკის რასობრივი ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორის ვან-ვიკის მეტად საგულისხმო განცხადება.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არსებობის პირველი ათი წლის მანძილზე, ნათქვამია ამ განცხადებაში, ვისმა პარლამენტმა, რომელშიც მხოლოდ თეთრკანიანი დეპუტატები არიან, მიიღო 98 კანონი, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყნის მკვიდრი აფრიკელი მოსახლეობის სეგრეგაციასა და დისკრიმინაციას.

ამ კანონების ანალიზი ცხადყოფს, ხაზგასმით აღნიშნავს ვან-ვიკი, რომ მათ „საფუძვლად უდევს რასობრივი განსხვავების პრინციპი და ისინი მიზნად ისახავენ ამ განსხვავებების სამუდამოდ დამკვიდრებას“.

ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველებს არც უფიქრიათ და არც ფიქრობენ გადაუხვიონ აპარტეიდის მხეცურ პოლიტიკას. მაშინ რაღად დასჭირდათ ბანდას მიწვევა და ამ სპექტაკლის გათამაშება? ამ შეკითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: სამხრეთ აფრიკელი რასისტები ცდილობენ სხვადასხვა საშუალებით გადმოიბირონ შავი კონტინენტის ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელები, რათა გათიშონ რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტი.

გავიხსენოთ, რომ ფორსტერმა თავის ერთ-ერთ ამასწინანდელ სიტყვაში აშკარად აღიარა: „დიალოგის პოლიტიკის მიზანია შევინარჩუნოთ თეთრკანიანთა ბატონობა“.

დამოუკიდებელი აფრიკის ლიდერების უმრავლესობა მაშინვე მიხვდა, თუ რას ნიშნავდა რასისტების „მეგობრობა“ და მათი დაპირებები, რომ ეკონომიურ და ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ აფრიკის სახელმწიფოებს და უარყო „დიალოგის“ პოლიტიკა.

ბანდა კი, რომელიც დახარბდა რასისტთა ამ დაპირებებს, ახლა აშკარად ღალატობს აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის ინტერესებს, აფრიკის ხალხთა ინტერესებს. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ კონტინენტის მეტი წილი გაზეთები მის მოგზაურობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ახასიათებენ, როგორც „სამხრეთ აფრიკის ხალხთა განთავისუფლების საქმის ღალატს“, „აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ინტერესების ღალატს“.

### მხოლოდ

● **არაბთა** გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, რომლის სხდომა მიმდინარეობდა პრეზიდენტ ა. სადათის თავმჯდომარეობით, მოიწონა არაბული რესპუბლიკების ფედერაციის კონსტიტუციის პროექტი. ფედერაციაში შედიან ლიბია, სირია და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა.

● **სირიის** არაბთა რესპუბლიკის სახალხო საბჭომ სპეციალურ სხდომაზე მოიწონა არაბული რესპუბლიკების ფედერაციის კონსტიტუციის პროექტი.

● **საპყრობილეში** ჯორჯ ჯექსონის მკვლელობის „დაუყოვნებლივი და სრული“ გამოძიება მოითხოვა დემოკრატმა სენატორმა ჯორჯ მაკგოვერნმა. „დარწმუნებული ვარ, რომ ვითარება მოითხოვს დაუყოვნებლივ და სრულ გამოძიებას, რათა ყველა ფაქტი ცნობილი გახდეს“, — განაცხადა სენატორმა.

● **ბოგოტაში** ოფიციალურ მეგობრობის ვიზიტად მყოფი ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე შეხვდა კოლუმბიის სახელმწიფო მეთაურს მისაელ პასტრანას. ისინი ესაუბრნენ ერთმანეთს ორივე მხარისათვის საინტერესო პრობლემებზე. იმავე დღეს სალვადორ ალიენდემ გვირგვინით შეამკო ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობისათვის გამოჩენილი მებრძოლის სიმონ ბოლივარის ძეგლი.

● **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის 30 ათასზე მეტმა მოქალაქემ ხელი მოაწერა მთავრობისადმი მიმართვას, რომელშიც მოუწოდებს, რაც შეიძლება მალე დაამტკიცოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულებები.

● **ამერიკის** მთავრობამ კიდევ ერთი შეღავათი მისცა დიდ ბიზნესს იმით, რომ ნება დართო ავტომობილმშენებელ მონოპოლიებს და სასტუმროთა მფლობელებს გაადიდონ ფასები ფასებისა და ხელფასის „გაყინვის“ სამთვიანი პროგრამის მოქმედების პერიოდში.

● **პარიზის** გალიმარის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „სოლედადელი ძმა“. წიგნი წარმოადგენს ჯორჯ ჯექსონის მიერ საპყრობილიდან გამოგზავნილი წერილების კრებულს.

● **„ფიატის“** საავტომობილო კონცერნის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან კონცერნის ქარხნების სამსხმელო და ფოლადსადნობ საამქროებში დასაქმებულ მშრომელთა სამუშაო კვირა მცირდება ხელფასის შემცირებასთან ერთად. ეს ღონისძიება შეეხება 6 ათასი მუშის ინტერესებს, რომელთა ხელფასი მკვეთრად შემცირდება.

● **დასავლეთ ბერლინში** ეგრეთწოდებულ „სამშობლოს დღის“ აღსანიშნავად გაიმართა რევანშისტულ გაერთიანებათა თავყრილობა. თავყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს სილეზიელ გერმანელთა სათვისტომოს თავმჯდომარემ გ. ჰუპკამ და დასავლეთ გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ერთ-ერთმა მოღვაწემ ფონ ვრანგელმა. ორატორები პროპაგანდას უწევდნენ რევანშის იდეებს, აბსურდულ პრეტენზიებს აცხადებდნენ სოციალისტური ქვეყნების ტერიტორიებზე.

ვაშინგტონი

## რ. ნიქსონი: მნიშვნელოვანი ფაქტორი

30 აგვისტო. (საკდესი). თეთრი სახლის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში რ. ზიგლერმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ოთხი მხარის შეთანხმების პროექტი დასავლეთ ბერლინის შესახებ დაახასიათა როგორც „მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში“.

ბონი

## ბრანდტის განცხადება

**30 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ბრანდტმა ნოი-ულმში (ბავარია) წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც შეეხო დასავლეთ ბერლინის თაობაზე ოთხი სახელმწიფოს ელჩთა მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეული შეთანხმების პროექტს.**

მან მოიწონა ოთხი ელჩის შეთანხმება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ ბერლინის თაობაზე ოთხი მხარის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება დამაჯერებლად მოწმობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი იმ ძალების პოზიციის მარცხს, რომლებიც, მიმართავდნენ რა „მრავალ კრიტიკულ გამონათქვამსა და დამახინჯებას“, ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ამ მოლაპარაკებისათვის.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა კანცლერმა, დასავლეთ ბერლინის თაობაზე შეთანხმების მიღწევა ადასტურებს, რომ სწორია მოქმედება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისა, რომელიც ახორციელებს პოლიტიკას, რომლის „მიზანია დაძაბულობის აღმოფხვრა და ომის შედეგების მოთმინებით დაძლევა“.

ბრანდტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ თუ არა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ამ ერთი წლის წინათ მოსკოვში დადებული ხელშეკრულება, დასავლეთ ბერლინის საკითხის მოგვარება „შეუძლებელი იქნებოდა“.

დასავლეთ ბერლინი

## მთავარი ძალა მშვიდობისათვის ბრძოლაში

30 აგვისტო. (საკდესი). შეთანხმება დასავლეთ ბერლინის პრობლემებზე, რომელსაც ოთხი სახელმწიფოს ელჩებმა მიაღწიეს, კმაყოფილებისა და მოწონების გრძნობას იწვევს მთელ მსოფლიოში, ყველა იმათ შორის, ვინც დაინტერესებულია დაძაბულობის შენელებითა და ურთიერთგაგების უზრუნველყოფით, წერს გაზეთი „დი ვარჰაიტი“ — დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანო.

სტატიაში „მშვიდობისა და უშიშროების რეალური პერსპექტივები“ გაზეთი აღნიშნავს, რომ იმ საკითხებშიც, კი, რომლებიც დასავლეთ ბერლინსა და მისი მოსახლეობის ინტერესს შეეხება, საბჭოთა კავშირი კვლავ გამოვიდა როგორც მთავარი ძალა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად საბჭოთა კავშირი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ევროპის უშიშროების საკითხებს, ვინაიდან ამ საკითხებზე უაღრესად არის დამოკიდებული მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება.

ლონდონი

## კვლავ შეტაკებანი

**30 აგვისტო. (საკდესი). ოლსტერში მიწა იწვის ინგლისის საოკუპაციო არმიის ფეხქვეშ.**

გუშინ ბელფასტში დაჭრეს ინგლისელი ჯარისკაცი, კვლავ ფეთქდებოდა ბომბები, და ისმოდა სროლა. დღისით ოთხი მძლავრი აფეთქება მოხდა ლონდონდერიში, რის შედეგად დაზიანდა სასამართლოს შენობა, საფოსტო განყოფილება და ინგლისის სამხედრო კლუბი.

ნიურში აფეთქებამ დაანგრია საბაჟოს შენობა, დაბა მალაგონში დაზიანდა სატუმბავი სადგური.

პრეს ასოშიეიშნის სააგენტომ იანგარიშა, რომ მიმდინარე წლის რვა თვის მანძილზე ოლსტერში აფეთქდა 317 ბომბი — ორჯერ მეტი, ვიდრე მთელი 1969 წლის მანძილზე.

**მალტის** დედაქალაქი ლა-ვალეტა კლდეზე აშენებული არც თუ დიდი ქალაქია. (მოსახლეობა 15.800). 400 წლის წინათ მალტის ორდენის მაგისტრმა ვალეტამ თურქებთან გამარჯვების აღსანიშნავად ჩაუყარა მას საფუძველი.

უკანასკნელ ხანს მალტა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ახალმა ლეიბორისტულმა მთავრობამ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო, ეს კი არ მოსწონთ ინგლისისა და ნატოს მესვეურთ. ისინი ყოველნაირად ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ მალტაზე და შეინარჩუნონ თავიანთი სამხედრო ბაზები ხმელთაშუა ზღვის ამ მეტად ხელსაყრელ სტრატეგიულ კუნძულზე.

●



**სურათზე:** მალტის დედაქალაქი ლა-ვალეტა.

საკდესის ფოტოქრონიკა

## ინგლისის მხედრიონის თარეში

30 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის მთავრობა არ აპირებს შეწყვიტოს რეპრესიები ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს ელემენტარული დემოკრატიული უფლებების მინიჭებას, სიღატაკისა და უმუშევრობის ლიკვიდაციას. ინგლისის თავდაცვის სახელმწიფო მინისტრმა ლორდმა ბოლნიელმა გუშინ განაცხადა, რომ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დაპატიმრება ოლსტერში „საგანგებო რწმუნებულთა კანონის“ საფუძველზე „აბსოლუტურად აუცილებელი ღონისძიებაა“.

ოლსტერი სავსეა ინგლისის საოკუპაციო ჯარებით, რომელთა უცერემონიო მოქმედება დიდ უკმაყოფილებას იწვევს მეზობელ ირლანდიაში. პრესის ცნობების თანახმად, გუშინ ნაშუადღევს ინგლისელთა არმიის ორმა საპატრულო ჯავშნოსანმა დაარღვია საზღვარი და დაახლოებით კილომეტრ-ნახევარზე შეიჭრა ირლანდიის ტერიტორიაზე: აღშფოთებული ირლანდიელები გარს შემოერტყნენ ინგლისელთა ჯავშნოსნებს და დაწვეს ერთი მანქანა. როცა პატრული გაეცალა იქაურობას, მას სროლა აუტეხეს, რის შედეგადაც მოკლეს ერთი ჯარისკაცი.

დუბლინიდან მიღებული ცნობების თანახმად, ირლანდიის მთავრობამ ეს ინციდენტი შეაფასა, როგორც „ინგლისის არმიის ახალი შეჭრა“ ირლანდიაში ოლსტერის ტერიტორიიდან.

## იაუნდე გადატრიალების ცდის შემდეგ

**30 აგვისტო. (საკდესი). ფორტ-ლამის რადიოს გადმოცემაში, რომელიც აქ მიიღეს, ნათქვამია, რომ მდგომარეობა ჩადში სახელმწიფო გადატრიალების მარცხიანი ცდის შემდეგ სწრაფად უმჯობესდება.**

დედაქალაქში, რომელიც პრეზიდენტ ტომბალბაის ერთგულ უშიშროების ჯარებს უკავიათ, სიმშვიდეა.

ფორტ-ლამის რადიოთი გამოსვლის დროს ჩადის პრეზიდენტმა ფრანსუა ტომბალბაიმ განაცხადა, რომ დაწყებული ამბოხება ჩაახშეს.

მან აღნიშნა, რომ შეთქმულება მიმართული იყო პირადად მის წინააღმდეგ. ტომბალბაიმ დაადასტურა, რომ შეთქმულების ხელმძღვანელმა აჰმედ აბდალამ თავი მოიკლა.

ჟენევა

## მშვიდობიანი ზღვისათვის

30 აგვისტო. (საკდესი). მსოფლიოს 86 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა ეროვნული იურისდიქციის მოქმედების ფარგლებს გარეთ ზღვებისა და ოკეანეების ფსკერის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის მორიგი სესიის მუშაობაში.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები თანამიმდევრულად მოითხოვდნენ ისეთი ნორმების შემუშავებასა და დამკვიდრებას საზღვაო სამართალში, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო ურთიერთობის ამ დარგის რეგულირებას ყველა სახელმწიფოს — მცირე და დიდი, განვითარებადი და განვითარებული სახელმწიფოების ინტერესებისათვის.

დამთავრებულმა სესიამ ცხადყო, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა პოზიციები ჯერ კიდევ არსებითად განსხვავდებიან, მაგრამ ნათელია ისიც, რომ სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს რეალისტური მიდგომა საზღვაო სამართლის საკითხების გადაჭრისადმი.

## „უცნაური ბიჭები“ ოკეანის გაღმიდან

**ნაირობი. 30 აგვისტო. (საკდესი).** კენიაში გაიშალა საზოგადოებრიობის ფართო საპროტესტო კამპანია „ჰიპების“ — „დაუდევარი ექსტრავაგანტური უსაქმურობის“ წინააღმდეგ, რომლებიც ამ ქვეყანაში ჩამოდიან ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებიდან.

როგორც გაზეთი „სტანდარდი“ წერს, „კენიაში არავის არ სურს იხილოს „ჰიპები“.

„ჰიპების“ საქციელით პირველად აღშფოთდნენ ინდოეთის ოკეანეში მდებარე პატარა საკურორტო კუნძულის ძველი ქალაქის ლამუს მცხოვრებნი. ეს ქალაქი განსაკუთრებით შეიყვარეს ამ გარეწრებმა.

თმადაუვარცხნელი გოგოები დასეირნობენ ქალაქის ქუჩებში, გაცვეთილი ჯუბჯიანტანსაცმლიანი ბიჭები შეურაცხყოფდნენ ჩადრიან ადგილობრივ ქალებს. საღამოობით კი პლაჟზე „ჰიპები“ ეწევიან ჰაშიშსა და მარიხუანას და აწყობენ თავაწყვეტილ ღრეობებს.

თეთრკანიანი „ჰიპების“ ასეთი თავხედობით შეშფოთებულმა ლამუს ოლქის კომისარმა კაპიტანმა ნგუნგიმ განაცხადა, რომ „ჰიპები“ საფრთხეს უქმნიან ადგილობრივ მოსახლეობას“, და მოითხოვა აუკრძალონ მათ კუნძულზე შესვლა.

შემდეგ კენიაში მოხეტიალე უსაქმურების მოძალეობის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს მალინდის, მომბასისა და ნაირობის მცხოვრებლებმა. ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა გულისწყრომით აღსავსე სტატიები, რომლებიც მკვეთრად გმობენ ოკეანისგაღმელი „უცნაური ბიჭების“ საქციელს.

როგორც გაზეთი „სტანდარდი“ აღნიშნავს, „ჰიპები“ ავრცელებენ გარყვნილობებსა და პროსტიტუციას. „კენიელები თვალნათლივ ხედავენ საფრთხეს, — წერს გაზეთი. — „ჰიპები“ დამნაშავე და უთუოდ ანტისაზოგადოებრივი ელემენტები არიან, რომელთაც უნდა აეკრძალოს შემოსვლა კენიაში“.

## წყალდიდობის შედეგები

**დელი. 30 აგვისტო. (საკდესი).** დიდი წვიმით გამოწვეულმა წყალდიდობამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ინდოეთის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებს. წყალდიდობის შედეგად დაიღუპა ოთხასამდე კაცი.

როგორც ინდოეთის პრესის სააგენტო იუწყება, მარტო დასავლეთ ბენგალიის შტატში დაიღუპა ასზე მეტი კაცი; დაახლოებით ამდენივე — ბიჰარის შტატში. წყალდიდობა იყო აგრეთვე უტარ პრადეშის, ხიმაჩალ პრადეშის, ჰარიანისა და პენჯაბის შტატებში.

უმაგალითო წყალდიდობაა დასავლეთ ბენგალიაში. ადიდებულმა მდინარეებმა დატბორეს ბევრი დასახლებული პუნქტი, წალეკეს გზები, დააზიანეს კავშირგაბმულობის ხაზები.

ზარალი, რომელიც წყალდიდობამ მიაყენა შტატის მოსავალს, 570 მილიონ რუპიას შეადგენს. როგორც ინდოეთის პრესის სააგენტო იუწყება, ბიჰარში წყალდიდობამ დააზარალა 20 მილიონზე მეტი კაცი, დაანგრია 200 ათასზე მეტი სახლი.

**რავალპინდი. 30 აგვისტო. (საკდესი).** ადიდებულმა მდინარემ რავიმ დატბორა სიალკოტის რაიონი (დასავლეთ პენჯაბის ჩრდილოეთი), ამის შედეგად დაიღუპა 20-ზე მეტი კაცი, დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები, დაინგრა სახლები.

ადიდებულმა მდინარეებმა დიდი ზარალი მიაყენეს აგრეთვე მოსავალს აღმოსავლეთ პაკისტანში. როგორც დაკიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ პაკისტანში წყალდიდობის შედეგად დაზიანდა 300 ათასი სახლი, საწყობებში გაფუჭდა 19 ათასი ტონა მარცვლეული და 30 ათასი ტონა ჯუთი.

**რანგუნი. 30 აგვისტო (საკდესი).** დიდი წყალდიდობაა ბირმის ჩრდილოეთ ნაწილში, წყალდიდობამ ბევრ ადგილას წალეკა მანდალაი-მიტკინის რკინიგზა.

## ხანძარი კორსიკაზე

**პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). 11 ათასი ჰექტარი ტყე მოსპო ხანძარმა, რომელიც კორსიკის კუნძულის ბალანის რაიონში გაჩნდა. სტიქიური უბედურების ზონის ორ დასახლებულ პუნქტში არიან დაშავებულნი. დაირღვა სატელეფონო კავშირი, შეწყდა ელექტროდენის მიწოდება.**

## კატასტროფა იტალიის ნაპირებთან

**პარიზი. 30 აგვისტო. (საკდესი).** ხანძრის შედეგად, რომელიც გუშინ გაჩნდა საბერძნეთის სამგზავრო საზღვაო ბორან „ელენაზე“, დაიღუპა 25 კაცი, 111 კაცს აქვს დამწვრობა, მოტეხილობა და სხვ. გემი ჩაიძირა გაზის ბალონის აფეთქების შედეგად 40 კილომეტრზე იტალიის ბრინდიზის ნავსადგურის ჩრდილოეთით.

კატასტროფა მოხდა გაცხოველებულ ადგილას, რამაც ხელი შეუწყო წარმატებულ საშველ ოპერაციას. სულ „ელენას“ მგზავრთა გადარჩენაში მონაწილეობდა 403 გემი — დიდი ლაინერები და მებადურთა პატარა ნავები. ბრინდიზის ნავსადგურის სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საღამოსთვის ორასამდე კაცი ჯერ კიდევ ვერ იპოვეს.

გვიან საღამოს გამოქვეყნდა საბერძნეთის სავაჭრო ფლოტის სამინისტროს კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ „ელენაზე“ იყო 920 მგზავრი და ეკიპაჟის 97 წევრი. ბორანი რეგულირებულ რეისებს აწყობდა საბერძნეთსა და იტალიას შორის.

საზღვაო ბორან „ელენას“ კატასტროფა ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფაა ამ ბოლო წლების მანძილზე. ხუთი წლის წინათ ხმელთაშუა ზღვაში კატასტროფა მოუვიდა მეორე ბერძნულ გემს „ჰერაკლიონს“, რომელიც ჩაიძირა საბერძნეთსა და კრეტის კუნძულს შორის 241 მგზავრთან და ეკიპაჟთან ერთად.

## „მოულოდნელი შემოსევა“

**ვენა. (საკდესი). „ფარაონის“ ჭიანჭველებმა, ამ სახეობის ყველაზე მრისხანე და საშიშმა მწერებმა, რომლებიც აფრიკაში ბუდობენ, მოულოდნელად ინტენსიურად იწყეს გავრცელება ევროპის კონტინენტზე. ეს მწერები, იუწყება გაზეთი „ვინერ ცაიტუნგი“, ამას წინათ აღმოჩენილ იქნენ ზალცბურგში, ჰამბურგში და იუგოსლავიის ზოგიერთ ადგილში.**

მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს არც ხე, არც ქვის კედლები, შეშფოთებით აღნიშნავს გაზეთი. ამასთან „ფარაონის“ ჭიანჭველებს გამრავლების დიდი უნარი აქვთ — ყოველ ექვს კვირაში მათ ახალი თაობა უჩნდებათ.

### ფაქტები

# გიწვევთ პანსიონატი „თბილისის ზღვა“







თბილისის ზღვის მაღალ თვალწარმტაც ნაპირზე ფართოდ გაიღო ახალი კეთილმოწყობილი პანსიონატის „თბილისის ზღვის“ კარი, რომლის ამშენებელი და, როგორც იტყვიან, ბატონ-პატრონია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ეს 10-სართულიანი შენობა დააპროექტა „გიპროტორგის“ საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა (პროექტის ავტორი ო. მიქელაძე). იგი პირველი ნაწილია დასვენების დიდი ზონისა, რომელიც თბილისის ზღვის ნაპირებზე შენდება.

— ჩვენი პანსიონატი სასტუმროს ტიპისაა, — მოგვითხრობს პანსიონატის დირექტორი ი. ნოზაძე. — იგი განკუთვნილია მხოლოდ თბილისელებისათვის. აქ ერთდროულად დაისვენებს 250 კაცი, რომლებსაც პასპორტის მიხედვით ეძლევათ 3, 6 დღისა და მეტი ხნის საგზურები. პანსიონატთან ღია ვერანდაზეა პირველი კლასის რესტორანი, რომელიც დამსვენებლებს დღის საათებში სადილებს აძლევს იაფ ფასებში, საცეკვაო მოედანი, ბიბლიოთეკა. სართულებზეა ბუფეტები და დასასვენებელი ჰოლები ტელევიზორებით, სათამაშო გასართობი კუთხეებით. პანსიონატს 180 კაცი ემსახურება.

კეთილმოწყობილ პლაჟზე დამსვენებელთა განკარგულებაშია სამი წყალქვეშაფრთიანი კატარღა ზღვაზე გასასეირნებლად.

პანსიონატის ინტერიერები ლამაზად და გემოვნებით არის გაფორმებული. აქ გამოყენებულია ჭედურობა, ქვასა და ხეზე კვეთილობა. ინტერიერი გააფორმეს რ. ვეფხვაძემ, ე. კოპაძემ და ნ. შავგულიძემ.

თვითეულ ნომერშია მშვენიერი ფინური ავეჯი, ზღვისკენ მიქცეულ განიერ აივნებზე რბილი მოხერხებული შეზლონგებია.

ოროთახიან ლუქსებში ყველაფერი ისეა, როგორც პირველხარისხოვან სასტუმროებში: მაცივარი, ფართოეკრანიანი ტელევიზორი, ტელეფონი, სააბაზანო ოთახი.

მეტი წილი, არანაკლებად კარგად მოწყობილი ნომრები ორადგილიანი და სამადგილიანია.

ჩვენ აქ გავეცანით № 501 ლუქსში ერთ-ერთ პირველ დამსვენებელს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ნინო ბაგრატიონს.

— ძალიან კმაყოფილი ვარ, — გვითხრა მან. — ეს შესანიშნავი დასასვენებელი ადგილია. და ყველას, ვისაც თბილისიდან გასვლა ვერ მოუხერხებია, წინებულად შეუძლია გაატაროს აქ თავისი ხანმოკლე დასვენება.

პანსიონატი „თბილისის ზღვა“ შესანიშნავი საჩუქარია ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთათვის. იგი ააშენა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ (უფროსი — საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ა. გადახაბაძე).

უახლოეს ხანში პანსიონატის პლაჟი ყველაზე კეთილმოწყობილი გახდება თბილისის ზღვაზე. აქ დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება შეზლონგები, ტანისამოსის გამოსაცვლელი კაბინები, სასმელი წყლის სვეტები, სკამსაწოლები და ტენტები.

**ს. კილაძე.**

• • •

**სურათებზე:** მარცხნივ — პანსიონატი „თბილისის ზღვა“; მარჯვნივ — პანსიონატის რესტორანის ინტერიერი, ორსაწოლიანი ოთახი, ჰოლი სართულზე; ზემოთ — პანსიონატის დამსვენებლები სეირნობენ ზღვაზე.

ფოტო ავტორისა.





## ქალაქი — სოფელს

**ფოთი.** ხუთი მსხვილი საწარმო — ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო, ჰიდრომექანიზაციის, მანქანათსამშენებლო, ელექტრომოწყობილობათა ქარხნები და საოკეანო თევზჭერის სამმართველო შეფობას უწევენ ცხაკაიას, ხობის და ბორჯომის რაიონების საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში. ორჯონიკიძელებმა საქართველოს ტორფის ქარხანას საექსპლოატაციოდ გადასცეს ტორფის მომპოვებელი მცურავი აგრეგატი, ხოლო ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის საჯიშე მეღორეობის და ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისჯვრის საჯიშე მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებში დგამენ საკვებ ბაგებს და გაჰყავთ წყალსადენი 5 კილომეტრზე.

მადლიერია ხობის რაიონის სოფელ ახალსოფლის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომელსაც მხარი შეაშველეს ჰიდრომანქანათმშენებლებმა. მათ ანგარიშზე მეურნეობას შეემატა სამი სამჭედლო დანადგარი, 10 ცალი საქონლის გადასასვლელი ხიდი, ერთი კილომეტრი სიგრძის ლითონის ღობე, ქარხნიდან მიიღეს 3 ტონა მავთული, 30 კუბური მეტრი მრგვალი ხის მასალა.

**კ. კომახიძე.**

## შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად

**საჩხერე. (საკ. კორ.).** ხუთი ათასამდე საჩხერელი ვაჟკაცი წავიდა დიდ სამამულო ომში. თითქმის ნახევარმა თავი დასდო სამშობლოსათვის.

ხალხი აფასებს გმირულად დაღუპული ვაჟკაცების ხსოვნას. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე აღიმართა შინმოუსვლელთა მონუმენტი. მის გვერდით ეკლარის ქვით ნაგებ კედელზე ამოკვეთილია აკაკის სიტყვები: „ვინც მოიხადა ამ სოფლად ვალი, ის მკვდარიც ცოცხლობს, არ არის მკვდარი“.

შინმოუსვლელთა სტენდები მოეწყო აგრეთვე კორბოულსა და ჩიხაში, საჩხერის პირველ საშუალო სკოლაში.

## ასმეათე დაბადების დღე

ამ დღეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ აფხაზური ათარის მკვიდრი სელახ ბუთბა დაბადების 110 წლისთავის დღეს აღნიშნავდა. მის მრავალრიცხოვან შთამომავლებს გარდა საზეიმო სუფრას უსხდნენ აფხაზეთის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული სელახ ბუთბას თანატოლი ხანდაზმული ადამიანები.

110 წლის სელახ ბუთბა კარგი მომღერალი და მოცეკვავეა. იგი მონაწილეობს აფხაზეთის ხანდაზმულთა ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელიც აფხაზეთის ხალხური თვითმოქმედების სახლთან არსებობს.

სელახ ბუთბას 110 წლის იუბილე ფირზე გადაიღო უკრაინის სსრ ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიამ.

**მ. ჭოჭუა.**

### ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

## გვიან არის თითზე კბენა...

**თელავი. (საკ. კორ.).** თელაველი სულიკო შაშვიაშვილი ხშირად იცვლიდა სამუშაო ადგილს, ყოველთვის იმას ცდილობდა, სარფიანი საქმისათვის მიეგნო, და აბარა გასაკვირველია, თუ დღენიადაგ ჩქარობდა, თავის საკუთარ „მოსკვიჩს“ დიდი სისწრაფით დააქროლებდა ქალაქისა თუ სოფლის ქუჩებში. სულიკოს ყოველთვის სადღაც მიეჩქარებოდა და თავს მაინცდამაინც არ იწუხებდა მოძრაობის წესების დაცვისათვის. ამ წუთს რომ რკინიგზის სადგურში ხედავდნენ, მეორე წუთს თელავის ქუჩებში დაჰქროდა... ერთ-ერთი მორიგი რეისის დროს დიდი ხიჩქარე განავითარა და თელავ-ახმეტის გზაზე, საკოლმეურნეო ბაზრის წინ, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობაა, ისეთი სისწრაფით შეიჭრა, რომ ყველამ ველარ მოასწრო გაქცევა და ევდოკია კვანტალიანს მანქანა დაეჯახა. მძიმედ დაშავებული ქალი სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ აღარაფერმა უშველა, იგი მეორე დღეს გარდაიცვალა.

ზოგნი ახლა ავარიის მიზეზს ეძებენ. მთავარ „მიზეზად“ ის წამოაყენეს, რომ დაამუხრუჭა, მაგრამ მუხრუჭმა არ დაიჭირაო. მერე და ვინ არის დამნაშავე? ასეც რომ იყოს, განა საკუთარი მანქანის უწესივრობაზე პატრონი არ აგებს პასუხს?

ს. შაშვიაშვილი ახლა ზის და ფიქრობს, თუ რით დაიძვრინოს თავი სასჯელისაგან, მაგრამ ამაზე ფიქრი ახლა გვიან არის. ის რომ ადრევე დაფიქრებულიყო და წესიერად მოქცეულიყო, არც უდანაშაულო ადამიანის ცოდვას დაიდებდა და არც თვითონ ჩაიგდებდა თავს მძიმე მდგომარეობაში.

□ □

## მანქანის კვალს ბოროტმოქმედთან მივყავართ

**ავტომანქანა** ჩვენს დროში პირველი მოხმარების საგნად იქცა. მართლაც კარგი და სასიამოვნოა საკუთარი ავტომობილით გასეირნება ოჯახის წევრებთან ერთად, მოგზაურობა, დასვენება. მაგრამ ზოგი მანქანას კეთილი განზრახვით როდი იძენს. მას იმთავითვე ავი ფიქრები და მიზნები აქვს გულში. სწორედ ავი განზრახვით შეიძინა მანქანა თბილისელმა მოქალაქემ გაბრიელ სამსონის-ძე დათიკაშვილმა. ეს კაცი ცეკავშირის ორხევში მდებარე სახალხო მოხმარების საქონლის ნაკეთობათა კომბინატში მუშაობს. აქ მუშად ითვლება, მაგრამ თავისი პროფესიის დაუფლებასა და დისციპლინაზე კი არ ზრუნავს, თვა- [illegible]

[illegible] ტის მუშა როლანდ კონსტანტინეს-ძე ბიჭაშვილთან ერთად საწარმოდან გაიტანა 142 კილოგრამი კაპრონის სახელმწიფო ძაფი. კომბინატიდან მოპარული ძაფი მათ შინ უპოვნეს გადამალული. ჩანს ეს ბოროტება პირველად არ ჩაუდენიათ და არც კომბინატიდან ხელშეუწყობლად მოხდებოდა ასეთი დიდი მასშტაბის ქურდობა. საერთოდ სად მიჰქონდათ, სად უნდა გაესაღებინათ ეს ძაფი ქურდებს? როგორ მოხდა, რომ საწარმოდან, რომელსაც სპეციალური დაცვა ჰყავს, ამდენი ნედლეული გამოიტანეს?

ეტყობა, აქ რაღაც სხვა ძაღლის თავია დამარხული, რომელსაც ალბათ გამოძიება მოჰფენს [illegible]

### ფეხბურთი

## სატურნირო არითმეტიკა

ახალი ტურის სამი დღე. რვა მატჩი. ცვლილებანი სატურნირო ცხრილში და ყურადსაღები ციფრები. აი ძირითადი თემა, რომელსაც ჩვენი მოკლე საფეხბურთო მიმოხილვა მოიცავს და სატურნირო არითმეტიკა შეგვიძლია ვუწოდოთ.

ზოგადი ექსკურსი. რა მოიტანა ახალმა ტურმა, როგორი გავლენა მოახდინა მან მეტოქეთა ბალანსებზე? თუ საქმე ლიდერებზე და აუტსაიდერებზე მიდგა, სადაც უკვე საშემოდგომო ფეხბურთის მკვეთრი მაჯისცემა იგრძნობა, პოზიციები უცვლელი დარჩა. მაგალითად, კიევისა და მოსკოვის დინამოელთა გუშინდელ მატჩში გაიმარჯვეს კიეველებმა 2:1, „არარატმა“ წააგო ძიკა, მაგრამ ამ სამეულს იმდენად მყარი სატურნირო მდგომარეობა აქვს, რომ ისინი პირველ სამ ადგილს მტკიცედ ინარჩუნებენ. რაც შეეხება აუტსაიდერებს (აქ მხედველობაში გვაყვს სკა, „პახტაკორი“ და „ზენიტი“), მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა ერთი ქულა დაკარგა, ზოგმა — ორი, „პახტაკორმა“ კი ორი ქულა ჩაიწერა აქტივში, აქაც ცვლილება არ მომხდარა.

სიახლენი უფრო სატურნირო ცხრილის შუა ნაწილში მოხდა. ეს ის გუნდებია, რომლებსაც როგორც იტყვიან, არც სცხელათ და არც სცივათ, ე. ი. არც საპრიზო ადგილების იმედი აქვთ და არც უმაღლესი ჯგუფის დატოვება ემუქრებათ. აქ მოხდა გარკვეული გადაჯგუფება — „ზარიამ“ ორი საფეხურით მაღლა აიწია, „კაირატმა“ გაუსწრო „კარპატს“, „ტორპედო“ სამი საფეხურით ძირს დაეშვა, „სპარტაკმა“ ნაწილობრივ გაიუმჯობესა მდგომარეობა, „შახტიორმაც“ კვირის გამარჯვებით „ტორპედოსთან“ 1:0 ოდნავ ამოისუნთქა. რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, იგი ისევ მერვე ადგილზეა, იმ განსხვავებით, რომ მისი უახლოესი მეტოქენი — „კარპატი“ და „კაირატი“ თუ აქამდე ბურთების უკეთესი სხვაობით იყვნენ წინ, ახლა ორ-ორი ქულით უსწრებენ თბილისელებს.

რადგან თბილისის „დინამოზე“ ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის უკანასკნელ წარუმატებლობებს. გაზეთ „ტრუდში“ ვკითხულობთ — „ცუდად თამაშობენ თბილისელები აგვისტოში“. „იზვესტიაში“ კი წერენ — „ძნელია გავერკვეთ „დინამოს“ საქციელში... ჩანს აქ რომელიღაც სხვა ფაქტორები თამაშობენ როლს, რომლებიც ტრიბუნებიდან არა ჩანს“. „ფუტბოლ-ხოკეის“ ნრავალმნიშვნელოვანი დასკვნა გამოაქვს: „პახტაკორს“ მთელი გულით ეწადა მოგება, ხოლო მის მეტოქეს, რომელიც, როგორც ჩანს, უდარდელობის ვირუსით დაავადდა, პირდაპირ რომ ვთქვათ, არაფერი სურდა. რა არის ეს — სენსაცია? მაგრამ მეტისმეტად გულუხვად ხომ არ არიგებენ მათ თბილისელები?“ ამაში უთუოდ არის ჭეშმარიტება, ამიტომ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც უნდა დავეთანხმოთ. და მართლაც, რა გამართლება უნდა მოვუძებნოთ გუნდს, რომლის კარის მისადგომებს საბჭოთა ნაკრების ორი წარმომადგენელი იცავს (ხურცილავა, ძოძუაშვილი) სხვა ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად და 4 მატჩში 15 ბურთს იღებს, რომ არაფერი ვთქვათ თავდამსხმელთა უსუსურობაზე. ამიტომ ალმა-ატაშიც დამარცხება ბევრს არავის გაკვირვებია (თუმცა ამბობენ ამჯერად დინამოელები უკეთესად თამაშობდნენო). ეს ჩემპიონატების ისტორიაში „კაირატის“ პირველი გამარჯვება იყო „დინამოსთან“. დავაკვირდეთ სატურნირო ცხრილს — 17 ქულით ჩამორჩენა ლიდერთან, აუტსაიდერებთან 2-3 ქულით მიახლოვება, განა ეს საგანგაშო არ არის?

გუნდის მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა, მას შველა უნდა.

**ვ. ბაბელია.**




## გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 31 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კ.) | 24 | 15 | 8 | 1 | 34-12 | 38 |
| „დინამო“ (მ.) | 23 | 8 | 10 | 5 | 29-15 | 26 |
| „არარატი“ | 21 | 9 | 8 | 4 | 26-19 | 26 |
| „ზარია“ | 20 | 8 | 7 | 5 | 22-14 | 23 |
| ცსკა | 25 | 7 | 9 | 9 | 28-24 | 23 |
| „კაირატი“ | 23 | 7 | 9 | 7 | 28-31 | 23 |
| „კარპატი“ | 24 | 5 | 13 | 6 | 27-31 | 23 |
| „დინამო“ (თბ.) | 21 | 8 | 5 | 8 | 21-31 | 21 |
| „სპარტაკი“ | 21 | 5 | 10 | 6 | 24-23 | 20 |
| „ნეფტჩი“ | 20 | 6 | 7 | 7 | 24-24 | 19 |
| „შახტიორი“ | 22 | 8 | 3 | 11 | 24-26 | 19 |
| „დინამო“ (მნ.) | 21 | 5 | 9 | 7 | 25-28 | 19 |
| „ტორპედო“ | 19 | 3 | 12 | 4 | 12-11 | 18 |
| „ზენიტი“ | 22 | 5 | 8 | 9 | 18-25 | 18 |
| „პახტაკორი“ | 22 | 4 | 10 | 8 | 19-35 | 18 |
| სკა | 20 | 4 | 6 | 10 | 19-31 | 14 |

## სოფიის საჭიდაო ხალიჩაზე

**სოფია.** 30 აგვისტო. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. პიმენოვი, ჰ. ხაჩკოვანიანი). მხოლოდ 59 ათლეტი 216 სპორტსმენიდან, რომლებმაც სტარტი აიღეს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატზე, გამოვა დღეს — შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე. მთლიანი შემადგენლობა — 10 სპორტსმენი — შეინარჩუნა მხოლოდ ბულგარეთის ნაკრებმა, სადაც განსაკუთრებით კარგად არის მომზადებული რუსი პეტროვი (წონა 90 კილოგრამამდე). იგი ყველა შეხვედრას წმინდად იგებს.

ჩვენს გუნდში დარჩა რვა ათლეტი. ბრძოლას გამოეთიშა მოსკოველი გენადი სტრახოვი (90 კილოგრამამდე). იგი უგებდა უნგრელ კაროლ ბაიკოს, მაგრამ შემდეგ ძლიერ დაიზიანა მუხლი და ძლივს ძლივობით დაამთავრა შეჯიბრება, დილისათვის ფეხი გაუსივდა, კიდევ უფრო ასტკივდა. სპორტსმენს მაინც უნდოდა ხალიჩაზე გამოსვლა, მაგრამ ექიმებმა კატეგორიულად აუკრძალეს.

მარცხი განიცადა გენადის თანამემამულემ, რომან დმიტრიევმაც (48 კილოგრამამდე). მეოთხე წრეში მან ენერგიულად მიიტანა იერიში ბულგარელ ოგნიან ნიკოლოვზე, მაგრამ მაინც ვერ დასცა იგი ბეჭებზე. საბჭოთა სპორტსმენმა გაიმარჯვა, მაგრამ, დააგროვა რა ექვსი საჯარიმო ქულა, გამოეთიშა პრეტენდენტთა რიგებს.

კვლავ ბრწყინვალედ გამოდიან თბილისელი ქვემძიმე წონის შოთა ლომიძე და ლევან თედიაშვილი (82 კილოგრამამდე). არც ერთს არა აქვს საჯარიმო ქულები. მაყურებლებს შეუყვარდათ ლომიძე, რომელმაც ბეჭებზე დასცა მორიგი მეტოქე — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენი ალფონს ჰეჰერი 2 წუთსა და 16 წამში და თამსწრეთა ტაშის გრიალში დატოვა ასპარეზი.

— შეხვედრიხართ წინათ ჰეჰერს? — ჰკითხა მას გასახდელში ერთერთმა ჟურნალისტმა.

— სავსებით შესაძლებელია, მაგრამ დარწმუნებით ვერ ვიტყვი: ვიხსომებ მხოლოდ იმათ, ვისთანაც წავაგე, — უპასუხა ჩვენი ნაკრების 35 წლის ვეტერანმა. ესოდენ სოლიდური ასაკის გამო ხომ ლომიძის გაგზავნა არც კი უნდოდათ სოფიაში, ამბობდნენ მისი ტექნიკური ილეთების არსენალიც ღარიბიაო. მართლაც, იგი „ერთფეროვნად“ იგებს — შეხვედრის პირველ წუთებშივე ბეჭებზე სცემს მეტოქეს.

ასევე წმინდად მოიგეს მორიგი შეხვედრები მინსკელმა მძიმე წონის ალექსანდრე მედვედმა და მოსკოველმა ვასილ კაზახოვმა (68 კილოგრამამდე).



შ. ლომიძე.



ლ. თედიაშვილი.

### უკანასკნელ საათს

## საბჭოთა მოჭიდავეების ტრიუმფი

**სასიამოვნო** ცნობა მივიღეთ გუშინ საღამოს სოფიიდან. საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მოიპოვეს მთავარი გუნდური პრიზი. გაგვახარეს ჩვენმა თანამემამულეებმა შ. ლომიძემ და ლ. თედიაშვილმა. ისინი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე ა. მედვედმა, ი. გუსევმა და ზ. აბდულბეკოვმა. ვერცხლის მედალი დაიმსახურა ვ. კაზაკოვმა, ბრინჯაოსი — ა. ნასრულაევმა.

## პრეტენდენტთა მატჩები

მოახლოვდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების ფინიში. ჰოლანდიის ქალაქ ბლადელში უკვე გათამაშდა 8 პარტია. უკანასკნელი ორი (მეშვიდე, მერვე) დაუმთავრებელი დარჩა. მეშვიდე პარტიაში ნ. ალექსანდრიას უკეთესი მდგომარეობა აქვს, რაც შეეხება მერვე პარტიას, აქ ნანას პაიკი აკლია.

ასეთივე მატჩი მიმდინარეობს მინსკში მოსკოველ ა. კუშნირსა და ბაქოელ ტ. ზატულოვსკაიას შორის. აქაც გადაიდო მეშვიდე პარტია.

## ერთმა გოლმა გადაწყვიტა

კვირას ქუთაისში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და სვერდლოვსკის „ურალმაში“. შეხვედრის ბედი ქუთაისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც 50-ე წუთზე წვერავამ გაიტანა.

## სპორტული ამბები

● **გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ზულში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი სროლაში. საბჭოთა სპორტსმენები სამშობლოში ბრუნდებიან მედლების უხვი ნადავლით — 8 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოსი.

● **იტალიის** ქალაქ ვარესის ცენტრალურ ტრეკზე მიმდინარეობს მსოფლიოს პირველობა ველოსპორტში. ყურადღების ცენტრში იდგა სპრინტერ ვაჟთა რბოლა, სადაც ძირითადად ოქროს მედლისათვის დავა ქქონდათ ფრანგ დ. მორელონსა და ხარკოველ ს. კრავცოვს (ო. ფხაკაძე ადრე გამოეთიშა ოქროსმაძიებელთა რიგებს). აქ წარმატება დ. მორელონს ხვდა, რომელიც მეხუთეჯერ გახდა უმაღლესი ტიტულის მფლობელი.

## რედაქციისაგან

საქართველოს სსრ სახშრომშემნახალაროების და საკრედიტის სამმართველო იტყობინება, რომ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მერვე გამოშვების ლატარიის მოგებათა ცხრილში, რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტის“ 28 აგვისტოს ნომერში, მეორე სვეტის მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: სერია 59702, № 367, მოგება — 25 მანეთი.

## ნინო ბერიძე



გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **ნინო ალექსანდრეს ასული ბერიძე.**

ნ. ბერიძე დაიბადა 1898 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ერკეთში. 1917 წლამდე იგი სწავლობდა. შემდეგ სოფლის სკოლაში მუშაობდა. ნ. ბერიძის მთელი ოჯახი რევოლუციურ მუშაობაში იყო ჩაბმული. მამა და უფროსი ძმა გრიგოლი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ 1905 წლის რევოლუციაში. მეორე ძმა ბენიამინი იყო ბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი გურიაში 1919 წელს. იგი მენშევიკებმა დახვრიტეს იმავე წლის ნოემბერში ოზურგეთის მახლობლად.

ნინო და მისი და სუსანა (პარტიის წევრი 1918 წლიდან) ძმის გავლენით და მისი ხელმძღვანელობით ჩაებნენ არალეგალურ მუშაობაში. ნინო ავრცელებდა ბოლშევიკურ ლიტერატურას, შეიარაღებული აჯანყების დროს ენერგიულად ეხმარებოდა ძმას, აჯანყებულთა რაზმებს იარაღსა და ტყვია-წამალს აწვდიდა, მეკავშირის როლს ასრულებდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ ნ. ბერიძე მენშევიკებმა დააპატიმრეს, მაგრამ მალე დააღწია თავი ციხეს, 1920 წელს თბილისში ჩამოვიდა და აქ განაგრძობდა მუშაობას ბოლშევიკურ ორგანიზაციაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. ბერიძე მუშფაკში სწავლობდა. შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტი და ასპირანტურა, მუშაობდა ლაბორანტად ქიმიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. 1941 წლიდან პერსონალური პენსიონერი იყო.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ნ. ბერიძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ნ. ბერიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## ტელევიზია

**31 აგვისტო**

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — დოკუმენტური ფილმი — „ჩემი ქვეყანა“, 13.10 — მხატვრული ფილმი — „საფარი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — „მახსოვს პირველად სასწავლებელში“..., 19.05 — განცხადებები, 19.10 — ახალგაზრდობისათვის — „გზის დასაწყისი“, 19.25 — კონცერტი, 20.00 — „ახალი სასწავლო წელი“ (სტუდიაში სსრ კავშირის განათლების მინისტრი ამხ. პროკოფიევი), 20.15 — ციკლიდან „სახელოვანი სპორტსმენები“ — ოთარ ქორქია, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის. 22.10 — კინონარკვევი, 23.30 — სოპოტის საესტრადო სიმღერის საერთაშორისო ფესტივალის დასკვნითი კონცერტი. მეორე განყოფილება (გადმოცემა პოლონეთიდან).

მეორე პროგრამით

19.00 — კინოპროგრამა, 19.50 — განცხადებები, 19.55 — მხატვრული ფილმი „სამი ნაბიჯი დედამიწაზე“, 21.05 — მუსიკალური პროგრამა.

**1 სექტემბერი**

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი — „ჩემი რესპუბლიკა“ (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ), 12.05 — მხატვრული ფილმი — „ტყის ლეგენდა“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, [illegible] მოსწავლეთათვის — „პირველი ზარი“, 18.50 — „სახალხო რაზმელების დათვალიერება“, 19.05 — მხატვრული ფილმი — „პირველკლასელი“, 20.10 — „ახალი სასწავლო წელი“ (სტუდიაში სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ამხანაგი ელიუტინი). 20.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მულტპანორამა“, 21.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — კონცერტი — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 22.20 — მხატვრული ფილმი — „კოციუბინსკების ოჯახი“ (მეორე სერია).

მეორე პროგრამით

19.00 — „სკოლების დასახმარებლად“ — „ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა“, 20.00 — განცხადებები, 20.05 — კინოპროგრამა, 20.30 — მხატვრული ფილმი — „მშვიდიანი ქორწილი“, 22.00 — კინოლექტორიუმში „ველოსიპედისტის [illegible]

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## დისერტაციის დაცვა

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი**

(მელიქიშვილის, 10, III სართული, სააქტო დარბაზი).

ა. წ. 14 სექტემბერს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ალიტა ალექსანდრეს ასული ხუჯაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ ავადმყოფთა კომბინირებული და სხივური მკურნალობის დროს ჰემოსტატიკური სისტემის ცვალებადობის საკითხებისათვის“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.



## „ლოკომოტივის“ სტადიონი

2 სექტემბერს

ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის

(უმაღლესი ჯგუფი)

„დინამო“ (თბილისი) — „კარპატი“ (ლვოვი)

(ძირითადი შემადგენლობანი).

დასაწყისი 7 საათზე.

ბილეთების წინასწარ გაყიდვა ორგანიზაციებში 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, აბონემენტებზე 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს 12-დან 7 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა 2 სექტემბერს დილის 10 საათიდან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში

**ალექსანდრე გალაქტიონის-ძე გამყრელიძე**

რედაქტორი [illegible]

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, [illegible]

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

[illegible]